ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 104 (18646) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ



Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ კრემლის სამუშაო კაბინეტში. 1918 წლის ოქტომბერი.
ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ფოტოქრონიკა.

ᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ეს მშვენიერი დღე — 5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დაფუძნებიერების თარიღია, პრესის მუშაკები მას საკუთარი შემოქმედებითი მოსავლის აღების დღედაც ვთვლით — რა სიკეთე მოვიწიეთ, გადავაქციეთ თუ ვერა პრესა, ტელევიზია, რადიო ითითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის მისაწვდომ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ტრიბუნად, სადაც ადამიანები გულახდილად ლაპარაკობენ სიმართლესა და წუხილზე, ნარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, ყველაფერზე, რითაც ისინი ცხოვრობენ, რაზეც ოცნებობენ, რაზეც მუშაობენ?

პარტიისა და ხალხის მაღალი ტრიბუნა, ხვალის იმედიანი მჭვრეტელი, ერისა და სიმართლის ხმა — ჩვენი პრესა, მშრომელი კაცის სიყვარულით, მშენებელი ხალხის სამსახურით ღამენათევი, რიჟრაჟზე წამოფრენილი ედება მთელ საქართველოს კიდით კიდემდე, მიაქვს კომუნისტური სიტყვა მასებში. მან განვლო გზა მეკალმისა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლიდან მეცნიერებათა აკადემიამდე, კავიდან ტრაქტორამდე, ხაშესიდან ენგურჰესამდე, ჭაობებიდან ახალ კოლეთამდე, მალაკის ველიდან ავტოგიგანტამდე, კონკიდან მეტრომდე, თანამედროვე თვითფრენავების შენებლობამდე... მოდის, მოაბიჯებს გაზეთი-ჩირაღდანი მშენებლის, მეშახტის, მჭედლის, ძხვნელ-მთესველის, შევნახე-მეჩაიის, ინტელიგენტის მხარდამხარ, არ ეპუება ავდარს, მზეშიც, ქარბუქშიც, ნვიმაშიც მოდის შრომის ადამიანის სამზეოდ. პარტია მუდამ დიდ როლს ანიჭებდა თავის გაზეთს — ამ კოლექტიურ პროპაგანდისტსა და აგიტატორს, კოლექტიურ ორგანიზატორს და მასში სამუშაოდ თავის რიგებიდან უკეთეს კომუნისტ-პუბლიცისტებს თუ მზარდ და სანდო ახალგაზრდა ჟურნალისტებს აგზავნის.

თანამედროვე ეტაპზე პროპაგანდისა და მისი ორგანული ნაწილის — პრესის როლი მკაფიოდ განსაზღვრა ჩვენი პარტიის მეთაურმა იური ენდროპოვმა:

„ინტერნაციონალური აღზრდის დარგში, ისევე როგორც მთელ იდეოლოგიურ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაშიც, ჩვენ წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ჩვენი მიღწევების დამაჯერებელი, კონკრეტული ჩვენება, ახალი სერიოზული ანალიზი, რომელებსაც დღეგინდაგ ნარმოშობს ცხოვრება, ახრისა და სიტყვის სიახლე — აი მთელი ჩვენი პროპაგანდის სრულყოფის გზა, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს ალალ-მართალი და რეალისტური, აგრეთვე საინტერესო, გასაგები და, მაშასადამე, უფრო ქმედითიც“.

ცოტაა, რომ გაზეთი გამოდის, საჭიროა, ამასთან, იგი მოქმედებდეს, რაზმავდეს, საქმის ნარმატებას ორგანიზაციას უკეთებდეს, გაზეთის, ამ უპირველესი პროპაგანდისტის, ყოველი გამოსვლა უნდა იყოს სერიოზული საუბარი ადამიანებთან. პარტია გვასწავლის, რომ ჩვენი პრესისათვის დღეს არა არის რა იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ხელს უწყობდეს სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა ნარმატებით განხორციელებას, მეთერთმეტე ხუთწლედის და მთლიანად ოთხმოციანი წლებისათვის დასახული უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესრულებას, პარტიული პუბლიცისტიკის საშუალებებით საბჭოთა ადამიანს უნერგავდეს იდეურ მრწამსს, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას და საზოგადოების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას.

ჩვენი პრესა მუდამ იყო და ახლა მით უფრო ითვლება მეორე პარტად — სულის პარტად, და რაკი დრომ მას სულიერი საკვების როლი დააკისრა, უნდა იყოს კიდეც უბადლო ხარისხისა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთმინებით და სულგრძელობით გვასწავლის, მიგვითითებს, რეკომენდაციებს გვაძლევს პრესის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ორგანოების მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, ეს კი თითოეულმა ჟურნალისტმა-კომუნისტმა, პრესის მუშაკმა უნდა მიიჩნიოს ცხოვრებისაგან გაცემულ საგამოცდო ბილეთად. ამიტომ ჩვენ ჟურნალისტური, პარტიულ-პუბლიცისტური სიმაღლეები უნდა გვეშყრას გაზეთში, ტელე- და რადიო გადაცემებში.

ჩვენ უნდა ვნერით კომუნისმის მშენებელ ადამიანთა ბედზე, ადამიანის ფსიქიკაზე, გულზე; ადამიანი და ბრუნვა ადამიანზე უნდა იყოს მასალის დედაბოძი, კორესპონდენცია იქნება იგი, რეპორტაჟი თუ, რაღა თქმა უნდა, ნარკვევი. საბჭოთა საქართველოს მეშვიდე ათწლეულში გადამდგარნი, უნდა ვნერდეთ არა მარტო პროპაგანდისტულ-სააგიტაციო, არამედ აგრეთვე სწორედ ადამიანურ ასპექტზე გამართულ, გაშუქებულ, ადამიანის ბედზე გადაწყვეტილ მასალებს, და ამ თემაზე ებეჭდოთ, რამდენადაც საანელო უნდა იყოს — საკითხავი მასალა, უნდა შეეძლოთ ღრმად შეჭრა ცხოვრებაში.

გაზეთი არ უნდა იყოს კანონმდებელი, მისგან მეტ მსჯელობას, მეტ პოლემიკას მოელის მკითხველი. მთავარია ახრი, ურომლისოდაც პუბლიცისტიკა არ არსებობს. პარტიული პუბლიცისტიკის ეტალონები შემოგვინახა ისტორიამ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორეტიკოსთა შედევრების სახით. ნამდვილ მუდმივ სკოლას წარმოადგენს ჩვენი ჟურნალისტებისათვის საბჭოთა პრესის ულაგმანის „პრავდის“ უკეთესი პუბლიკაციები. სასიამოვნოა დღეს იმის აღნიშვნა, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მუშაკ-პუბლიცისტთა ერთ ჯგუფს პატივი ხვდა გამხდარიყო „ხუთწლედის მატიანის“ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჩვენს მუშაობაში ცოტაა ფეხდაფეხ მისდევდე ცხოვრებას, საჭიროა მომავლის დაზვერვაც, რათა წინ გაუსწრო მოვლენებს. გვასაზრდოებდეს არა დღიური ცხოვრებისა, არამედ თვითონ ცხოვრება თავისი მომავლით. ჟურნალისტის პროფესიული ვალია იკითხოს, წეროს და შეძლოს აზროვნება და ანალიზი, კავშირის გაბმა ნვრილმანსა და მთავარს შორის. სინამდვილე როდია საკმარისი დარწმუნებისათვის, ეს სინამდვილე უნდა განმარტოს, ოღონდ სათქმელი ითქვას კომუნისტური პოზიციიდან, პარტიული პრინციპულობით.

გაზეთი მუდამ ჭაბუკია, თუნდაც დაარსებიდან ათეული წლები გაუვიდეს. მისი ასაკი დილაა, იგი მზესთან ერთად ამოდის და ოჯახში შემოსული, ფართო სამყაროსკენ ფანჯრის გამოღებას ჰგავს. საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნული აყვავების მაცნე, ყოველი პატიოსანი მშრომელის საიმედო მეგობარი და მეგზური ჩვენი პრესა — რესპუბლიკის ხატოვანი, მრავალმხრივი, პუბლიცისტური მატიანეა. მის ორგანოთა კომპლექტებს ვით აგური აგურს, ბლოკი ბლოკს — ემატება შენების, ხვნა-თესვის, მკის, სწავლა-განათლების, ჩვენი ხალხის ფიქრისა და აღქმის, ჩვენი კეთილი გუშინდელი დღის გაანალიზებისა და კიდევ უკეთესი ხვალისაკენ გზის გამკვალავი ყოველი ახალი ნომერი, და იქმნება მომხიბლავი პანორამა ისტორიისა, ერთგვარი გამოფენა ექსპონატებისა, საქართველოს მშრომელი ხალხის შრომითსა და საბრძოლო თავგადასავალს რომ ასახავს.

პრესის დღევანდელი დღესასწაული მთელ ხალხს ეკუთვნის, რადგან პრესა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გახდა საბჭოთა ადამიანების სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, თანაშემწე შრომასა და ბრძოლაში, მეგობარი, მრჩეველი და მასწავლებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დე კელავაც იყოს ჩვენი პრესა, ტელევიზია, რადიო პარტიის საიმედო იდეოლოგიური, ბასრი პუბლიცისტური იარაღი!

მოგილოცავთ დღესასწაულს, თანამოკალმენო!

5 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ. ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ, ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲙᲐᲚᲛᲔᲜᲝ!

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲙᲐᲚᲛᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრმა ამხ. ბ. ვ. ბაკინმა მიმდინარე წლის 18 თებერვალს გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს კოლექტივმა, დადგა რა შრომითს ვახტზე, იკისრა დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი საიუბილეო ობიექტებზე მიმდინარე წლის 9 თვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მუშათა კულტურული დასვენების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა კავშირის მასშტაბით. იგი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ასე მოხდა შარშანაც, როცა მან ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა გეგმით ნავარაუდევი დავალებანი. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სამმართველოს კოლექტივის მიერ ჩაბარებული ობიექტების 93 პროცენტმა მიიღო „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება.

რუსეთთან საქართველოს დამოყვრების მნიშვნელობის ფართო პროპაგანდის, საიუბილეო დღეებში მონაწილეობისათვის აქტიურად მომზადებისა და საქართველოს სსრ „მთავარმონტაჟსპეცმშენის“ მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულების მიზნით, მინისტრი ბრძანებს:

მოწონებულ იქნეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მიერ შემუშავებული ლონისძიებანი, ხოლო მინისტრის მოადგილემ ამხ. კ. ს. კაჩანოვმა აღმოუჩინოს საჭირო ოპერატიული დახმარება საიუბილეოდ ასამოქმედებელი ობიექტების დროული ჩაბარების საქმეში.

მოდით, მკითხველო, თქვენთან ერთად თვალი გადავავლოთ, თუ რა სამუშაოებს ითვალისწინებს ეს პროგრამა. მიმდინარე წლის საიჯარო სამუშაოების საერთო მოცულობა 62 მილიონ 80 ათასი მანეთით განისაზღვრება, მათ შორის ქვემოიჯარისა — 39,9 მილიონი მანეთით, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მხრივ — 36,2 მილიონი მანეთით. შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 4 პროცენტით, საშუალო ხელფასის 2,4 პროცენტით ზრდასთან ერთად. დასამონტაჟებელ სარწყავ საწარმოთა მიხედვით სასაქონლო და პროდუქციის რეალიზაციის დავალებანი 6,8 მილიონ მანეთს შეადგენს.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხაზით ქვესაიჯარო წესით სამრეწველო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ასაშენებელი და დასამონტაჟებელი ობიექტების რიცხვი ცხრაასია, ხოლო სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებით — 350.

ზემოხსენებული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მინისტრი ავალებს მთავარმშენმექანიზაციისა და მთავარმომარაგების სამმართველოთა ხელმძღვანელებს 1983 წელს ქართველ მემონტაჟეებს დამატებით გამოუყონ სამი სამონტაჟო ამწე, „კაზ-608“, „იფ-2715“ და „ერაზ-762“ მარკის 6 ავტომანქანა.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მმართველს ამხ. გ. გ. გამყრელიძეს ავალებს ყველაფერი იღონოს, რათა თითოეულმა საწარმომ და ორგანიზაციამ უზრუნველყოს მიმდინარე წლის საწარმოო-ფინანსური გეგმების შესრულება და მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. კვლავაც იზრუნოს კადრების მომზადების, მუშათა შრომის, სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ზემოხსენებული ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალა სამრეწველო-განმკარგულებელი მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. ს. დემინს.

ყოველივე, რაც მოგახსენეთ, ჩვენი რესპუბლიკისადმი საკავშირო სამინისტროს შეუნელებელი ყურადღების ნათელი მაგალითია.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲕᲔᲚᲗᲐᲛᲐ

ლოს კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა კავშირის მასშტაბით. იგი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ასე მოხდა შარშანაც, როცა მან ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა გეგმით ნავარაუდევი დავალებანი. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სამმართველოს კოლექტივის მიერ ჩაბარებული ობიექტების 93 პროცენტმა მიიღო „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება.

რუსეთთან საქართველოს დამოყვრების მნიშვნელობის ფართო პროპაგანდის, საიუბილეო დღეებში მონაწილეობისათვის აქტიურად მომზადებისა და საქართველოს სსრ „მთავარმონტაჟსპეცმშენის“ მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულების მიზნით, მინისტრი ბრძანებს:

მოწონებულ იქნეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მიერ შემუშავებული ღონისძიებანი, ხოლო მინისტრის მოადგილემ ამხ. კ. ს. კაჩანოვმა აღმოუჩინოს საჭირო ოპერატიული დახმარება საიუბილეოდ ასამოქმედებელი ობიექტების დროული ჩაბარების საქმეში.

მოდით, მკითხველო, თქვენთან ერთად თვალი გადავავლოთ, თუ რა სამუშაოებს ითვალისწინებს ეს პროგრამა. მიმდინარე წლის საიჯარო სამუშაოების საერთო მოცულობა 62 მილიონ 80 ათასი მანეთით განისაზღვრება, მათ შორის ქვემოიჯარისა — 39,9 მილიონი მანეთით, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მხრივ — 36,2 მილიონი მანეთით. შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 4 პროცენტით, საშუალო ხელფასის 2,4 პროცენტით ზრდასთან ერთად. დასამონტაჟებელ სარწყავ საწარმოთა მიხედვით სასაქონლო და პროდუქციის რეალიზაციის დავალებანი 6,8 მილიონ მანეთს შეადგენს.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხაზით ქვესაიჯარო წესით სამრეწველო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ასაშენებელი და დასამონტაჟებელი ობიექტების რიცხვი ცხრაასია, ხოლო სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებით — 350.

ზემოხსენებული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მინისტრი ავალებს მთავარმშენმექანიზაციისა და მთავარმომარაგების სამმართველოთა ხელმძღვანელებს 1983 წელს ქართველ მემონტაჟეებს დამატებით გამოუყონ სამი სამონტაჟო ამწე, „კაზ-608“, „იფ-2715“ და „ერაზ-762“ მარკის 6 ავტომანქანა.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მმართველს ამხ. გ. გ. გამყრელიძეს ავალებს ყველაფერი იღონოს, რათა თითოეულმა საწარმომ და ორგანიზაციამ უზრუნველყოს მიმდინარე წლის საწარმოო-ფინანსური გეგმების შესრულება და მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. კვლავაც იზრუნოს კადრების მომზადების, მუშათა შრომის, სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ზემოხსენებული ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალა სამრეწველო-განმკარგულებელი მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. ს. დემინს.

ყოველივე, რაც მოგახსენეთ, ჩვენი რესპუბლიკისადმი საკავშირო სამინისტროს შეუნელებელი ყურადღების ნათელი მაგალითია.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲙᲙᲐ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 3 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი და სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ի. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ამხანაგო ჰონეკერ!

პატივცემულო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ საბჭოთა ხელმძღვანელობისა და მთელი ჩვენი ხალხის სახელით გულთბილად მივესალმო ძვირფას სტუმრებს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას.

ეს-ეს არის დამთავრებულ მოლაპარაკებაზე ერთმანეთს გავუზიარეთ საფუძვლიანი ინფორმაცია ჩვენი საქმეების შესახებ. საბჭოთა კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ახარებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის ამხანაგ ჰონეკერის ხელმძღვანელობით საგრძნობი წარმატებანი მოიპოვეს პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას მეგობრებს კვლავაც მტკიცედ განეხორციელებინოთ დასახული გეგმები. გადაეცით, ამხანაგებო, ბედნიერებისა და აყვავების ჩვენი გულწრფელი სურვილები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეულ მოძმე ხალხს.

ჩვენი საუბრების ცენტრში იდგა ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები. მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე იგი ვითარდებოდა და ახლაც ვითარდება ალმავალი ხაზით. ეს ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ურთიერთობას, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ურთიერთმოქმედებას, კულტურის ღირებულებათა გაცვლასა და ადამიანთა ურთიერთობის სხვა ფორმებს.

სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე მრავალი წელია ერთმანეთისათვის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორები არიან. ახლა ჩვენს ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს თანამშრომლობა უშუალოდ წარმოების სფეროში.

ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინსვლას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკვანძო უბნებზე. საბჭოთა კავშირს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს დიდი შემოქმედებითი პოტენციალი აქვთ, ჰყავთ მეცნიერ მუშაკთა, სპეციალისტთა, მუშათა კვალიფიციური კადრები. რაც უფრო უკეთ შეგახსენებთ, ავამოქმედებენ ამ ფასდაუდებელ კაპიტალს, მით უფრო სწრაფად და წარმატებით გადავწყვეტთ მრავალფეროვან ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს, რომლებზეც ჩვენი ხალხები მუშაობენ.

ამხანაგებო! დღეს, კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავის წინ, ჩვენ, კომუნისტები, ამაყად ვამბობთ: ისტორია მიდიოდა და მიდის მარქსის, ენგელსის, ლენინის მიერ ნაჩვენები. გზით. მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელსაც განუწყვეტლივ ამდიდრებს კომუნისტური და მუშათა პარტიების პრაქტიკა, სოციალიზმის მშენებლობისა და მისთვის ბრძოლის ინტერნაციონალური გამოცდილება დღესაც მოქმედების ერთადერთი უტყუარი და საიმედო სახელმძღვანელოა.

თავისებურად გამოეხმაურნენ მარქსის წელს ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენიც. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიგანმა „ჯვაროსნული ლაშქრობაც“ კი მოითხოვა კომუნიზმის წინააღმდეგ, დაუფარავ უწინასწარმეტყველა მას. ვაშინგტონი მარტო სიტყვებს არ სჯერდება, იქ აშკარად ამზადებენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ სამხედრო უპირატესობის მოწევის გეგმებს. შეერთებული შტატები უტიფრად ერევა სხვა სახელმწიფოთა საქმეებში, თავს აბეზარს მათ ცხოვრების ამერიკულ წესს, არსებითად კი ცდილობს მიაღწიოს მსოფლიო ბატონობას. აი ნამდვილი ფესვი ბოროტებისა, რომელსაც მსოფლიოში სჩადიან, ბოროტებისა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა თვით არსებობას.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ორი საზოგადოებრივი სისტემის ისტორიული მეტოქეობა, იდეების ბრძოლა სავსებით კანონზომიერი, თვით სოციალიზმისა და კაპიტალიზმის არსებობის ფაქტით განპირობებული მოვლენაა. მაგრამ ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ ეს ისტორიული დაპირისპირება მიზნად ისახავდეს მშვიდობიანი თანამშრომლობის შეკავებას და მით უმეტეს გადადიოდეს ბირთვული ომის სიბრტყეში.

იმ პირობებში, როცა მთელ კაცობრიობას ბირთვული კატასტროფა ემუქრება, ყველა, ვისაც კავშირი აქვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებასთან, ვალდებულია ყველაზე მაღლა აყენებდეს ზრუნვას მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ხომ არ დადგა დრო, ამერიკელმა ხელმძღვანელებმაც მეტი პოლიტიკური თავშეკავება, პასუხისმგებლობა და გონიერება გამოიჩინონ?

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება დღევანდელობის ყველაზე მწვავე მოთხოვნას — არ დაეშვათ გამალებული რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების ახალი ციკლი, თავიდან ავიცილოთ ომი.

სოციალიზმის ქვეყნები უაღრესად დიდი პასუხისმგებლობით უდგებიან ამ საკითხებს. ჩვენი წინადადებები ჩამოყალიბებულია მთელ რიგ ერთობლივ დოკუმენტებში, მათ შორის ვარშავის

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲒᲧᲕᲐᲗ ᲛᲮᲜᲔᲝᲑᲐ...

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲡᲐᲨᲕᲘᲜᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲓᲐᲜ

ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲜᲔᲨᲘ თანდათან გამოიკვეთა ელმავალსაშენებელი ქარხნის კონტური. ჯერ ახალი. მტკვრის ხეობიდან სტუმრად მოფრენილი შაშვები და ჩიორები აღლუმს მართავენ საწარმოს ეზოში. ცოტაც და მათი ეღლერტაღლიც შეწყდება, მაისისწინა კიდევ ერთი ახალი სამუშაო დღე დაიწყება და ფრთოსნებიც მყუდრო ადგილს შეეფარებენ თავს...

გათენდა. უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობა ქარხნის ეზოში, მუსიკის ბგერები ხიოცოცხლეს და შრომის ხალის მატებს ადამიანს.

დღეს ამწყობი საამქროდან ელმავალი გავა ღონიერ ჭიდეზე ამოტეიფრული ინიციალით — ვლ.-11. და დაჭიმავს აპეურებს რკინის ხარი, შეეხმება და ერთხელაც არ წამოიჩქმეს მძიმეწონიანი ვაგონების უღელში შებმული. მანამდის კი მრავალი პროცესი და ბევრი შრომატევადი სამუშაოა შესასრულებელი.

...ამწყობ საამქროში დამწვარი რკინის სუნმა სმენი და მხედველობა ერთდროულად გამამახვილა — ჯალიათი ელმავლები უსარმაზარ საამქროში ჩვეულებრივზე პატარები მომეჩვენენ.

ღრეჩალით მოიწევეს ხიდურა ამწე კაუჭზე ჩამოკიდებული ტვირთით, რათა „გული“ გადაუნერგოს ნოვოჩერკასიდან მიღებულ „ხსეულს“. რვა ასეთი რთული ოპერაციის შემდეგ მზა რკინაგზაინი ელმავალს წონა 184 ტონას აღწევს, სიმძლავრე კი 5880 კილოვატს. ეს ახალი კონსტრუქციის ელმავალი საიმედოა და თავის წინამორბედთან შედარებით 16 ტონით მსუბუქია, სიმძლავრე კი 160 კილოვატით მეტი აქვს.

საამქროში ყველა თავისი საქმით არის გართული. რთული ელექტროგაყვანილობა მონტაჟი, რომელიც მთელ ელმავალს მოიცავს, დიდ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს. ამწყობთა გონებაშ და გამოცდილმა მარჯვენამ უსქემოდაც კარგად იცის სამუშაო პროცესის თანმიმდევრობა; დურგალთა ბრიგადა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, დაკისრებულ მოვალეობას შეუფერებლად და ხარისხიანად ასრულებს. ყველა ამ პროცესის შემდეგ ელმავალი გამოცდისათვის მზად არის.

ვინ იცის, სად წაიყვანს ხადაურსა ბედი... რადენი ახალგაზრდა ელმავალმშენებელის ოცნებას გაიყოლებს თან ქვეყნის დაქსელილ ლაბირინთებში მოკირითე ეს რკინის რაში.

საამქროს კოლექტივმ, რომლის შემადგენლობაში 80-მდე კომკავშირელია გაერთიანებული, ზარზან მეხუთედ აიღო პირველი ადგილი ქარხნის საამქროებს შორის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სულისა და ბჯის სიმტკიცეა საჭირო, ელმავლის მშენებელ ოსტატად რომ გაკურთხონ. ახეთები კი აქ მრავლად არიან. აი ზოგიერთი მათგანი:

— ჭალარა, თორემ ახალგაზრდული შემართება აქვსო, — ამბობენ ზეინკალ ავთო ახანიძეზე. აქ მიღო შრომითი ნათლობა და აქვე დარჩა ამჟამად ტექნიკური კონტროლის ჯგუფის უფროსი თამაზ ნანობაშვილი, რომელსაც ძალზე საპატიო მისია — ელმავლების გასინჯვა, ჩაბარება და გაგზავნა ეკალება.

მხარმხარ შრომობენ მამაშვილი, ზეინკლები ანზორ და იური გორგაძეები. მამამ მოიყვანა შვილი საამქროში სკოლის დამთავრების შემდეგ. მასზე მეგობრები ხუმრობით ამბობენ —„აკვნდან გადმოვიდა თუ არა, ჩვენთან მუშაობსო“.

რას იხურავებდით-მეთქი, ბიჭებო? — და გაოცებული დავრჩი, როცა მათ სახეზე, რატომღაც აუხდენელი ოცნება კი არა, სინამდვილედ ქცეული კაცური თავდაჭერილობა დავინახე, რამეთუ მათ ოცნებას, მომავლისაკენ მიმწოლიებას უკვე ტღეს აქვს რეალური საფუძველი ჩაყრილი. აქ უხვად არიან ახალგაზრდები, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში. იცნობდეთ: ტარიელ მაღლაკელიძე — საკონტროლო-გამომცდელი ჯგუფის მოწინავე ელექტროზეინკალი, ავთანდილ მარჯანიძე — დურგალი, საამწყობო საამქროს კ

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის დეკლარაციაში. ისინი ითვალისწინებენ როგორც ომის წარმოების მატერიალური საშუალებების გაუქმებას, ისე ომის გაჩაღებისათვის პოლიტიკური დაბრკოლებების შექმნას, მოიცავენ როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ თავიანოებას, ითვალისწინებენ როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხების უშიშროების ინტერესებს. ნატოს ქვეყნები დღემდე თავს არიდებენ პასუხს სოციალისტური სახელმწიფოების ახალ, სამშვიდობო ინიციატივებზე.

ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ მზად ვართ განვიხილოთ მხარეების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპზე დაფუძნებული ნებისმიერი სხვა ინიციატივები. ხოლო ამ პრინციპის დარღვევის ყოველგვარი ცდები წარუმატებელი იქნება. ჩვენ თავს არავის მოვატყუებინებთ.

ახლა ერთობ პასუხსაგები მომენტია: გამოსწვდე თუ არა ძაფს, გორგალი გაგორდება. სწორედ ასეთი როლის შესრულება შეუძლია დასავლეთ ევროპაში ამერიკული „პერშინგებისა“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას. თუ, ყველა გონივრული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საქმე ამაზე მიდგება, ჯაჭვური რეაქცია გარდაუვალია. სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნები იძულებული გახდებიან განახორციელონ სპასუხო ღონისძიებანი.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამგვარი პერსპექტივა ხელსაყრელი იყოს ამერიკის ხელმძღვანელობისათვის. მაგრამ მაშინ როგორღა შევაფასოთ მისი განცხადებები და მოქმედება? ვაშინგტონში ხომ კარგად ესმით, რომ „ნულოვანი“ ვარიანტი, და „შუალედური“ ვარიანტიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას, შეერთებული შტატების მიერ ევროპაში სამხედრო უპირატესობის მიღებას ითვალისწინებენ, სამართლიანი, ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების საფუძველი ვერ გახდება.

არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს არც ნატოს ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს პოზიციამ. მაგალითად, ცნობილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებს არაერთხელ დაუდასტურებიათ, რომ გერმანიის მოწა-წყლიდან აღარასოდეს აღარ უნდა გაჩაღდეს ომი. მაგ, როგორღა შეეუთავსოთ ამას დასავლეთ გერმანიის მიწა-წყალზე ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმების მხარდაჭერა? ეს ხომ პირველი დარტყმის იარაღია. თანაც გადაწყვეტილებს რაკეტების გაშვების შესახებ მიიღებენ ისინი, ვინც ოკეანის გაღმა იმყოფება.

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ანდროპოვ!
ძვირფასო ამხანაგო ტიხონოვ!
ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო
და მეგობრებო!

ნება მიბოძეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის სახელით მთელი სულითა და გულით გადაგიხადოთ მადლობა საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის და ძმური მასპინძლობისათვის. ამავე დროს მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო ანდროპოვ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და ჩვენი ხალხის მისამართით ნათქვამი მეგობრული სიტყვებისათვის. ეს ვიზიტი და დღეს დაწყებული მოლაპარაკება, როგორც მტკიცედ გვწამს, ახალი ნიშანსვეტი გახდება ჩვენი ურღვევი კავშირის, ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებაში.

ამ დღეებში 38 წელი სრულდება იმ დღიდან, რაც სსრ კავშირმა და მისმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა მსოფლიოისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ჰიტლერულ ფაშიზზე დიდ სამამულო ომში. ამ გამარჯვებამ ხალხებს თავისუფლება მოუტანა. მან გადაარჩინა ისინი ბარბაროსობის ჭაობში დაღუპვისაგან. ამით დასაბამი მიეცა უდიდეს ისტორიულ გარდაქმნებს, რომლებმაც ჩვენს ხალხსაც მისცა საშუალება დასდგომოდა ნათელი მომავლის გზას და აეშენებინა სოციალიზმი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის ყველა პროგრესული ადამიანი, მუდამ უღრმესი პატივისცემის გრძნობით გაიხსენებენ საბჭოთა კავშირის 20 მილიონ შვილს, რომლებმაც ამას შესწირეს სიცოცხლე.

ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი რეგიონალიური მონაპოვარია ის, რომ ლენინის ქვეყანასთან მეგობრობა გახდა მისი ცხოვრების საძირკველი და ყველა შრომელის საერთო მონაპოვარი. ამისათვის გასწიეს უდიდესი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ. სსრ კავშირთან ძმურ ურთიერთობაზე დაყრდნობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — გერმანიის მიწა-წყალზე შექმნილი მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო წარმატებით ვითარდება აი, უკვე სამ ათწლეულზე მეტი ხანია. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის მტკიცე შემადგენელი ნაწილი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოა, ამგვარად შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა კაპიტალიზმთან და ნატოსთან წყალგამყოფ ხაზზე.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

მოხარული ვართ, რომ ეს ვიზიტი შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ ერთხელ ვიხილოთ, თუ რა შესანიშნავ წარმატებებს აღწევს საბჭოთა ხალხი XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების პროცესში შეძენილია დიდი გამოცდილება, რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს ყველა ჩვენგანისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი ღრმა პატივისცემის გრძნობით აღსავსენი ადევნებენ თვალს საბჭოთა შრომელების თვალსაჩინო წარმატებებს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, განათლებისა და კულტურაში, აგრეთვე თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დარგში. ეს მიღწევები ხალხის კეთილდღეობას, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს ემსახურება.

საბჭოთა კავშირს მუდამ ყველაზე დიდი წვლილი შეუჭრია საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების საქმეში. დღესაც ასეა. ახლა, როცა მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში დგას კაცობრიობის ცხოვრებისათვის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, საბოლოო ანგარიშით საერთაშორისო მოვლენათა განვითარებისადმი სოციალიზმის მზარდ ზემოქმედებაზეა დამოკიდებული ყოველივე. ამასთან დაკავშირებით ყოველი ცალკეული მოძმე ქვეყნისა და მთლიანად ჩვენი თანამეგობრობის წარმატებები, მათი ერთიანობა და შეკავშირება სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამით თანამიმდევრულად ხელმძღვანელობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრებას ახასიათებს ინიციატივიანი შრომა ჩვენი X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი აშენებისათვის, მაგალითად, შარშან ჩვენ კვლავ მივაღწიეთ შესამჩნევ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც 1983 წელსაც გაგრძელებთ ნაკლები საშუალო სიშორის რაკეტებიც და მათი საბრძოლო მუხტებიც, ვიდრე 1976 წლამდე პერიოდში, როცა არ გვქონდა სს-20 ტიპის რაკეტები.

ის, ვინც კვლავ უარყოფს ჩვენს ამ წინადადებას, მძიმე პასუხისმგებლობას იკისრებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხების წინაშე, რადგან მორიგების მიღწევისათვის დაკარგული ყოველი კვირა, ყოველი დღე ზრდის ბირთვულ საფრთხეს.

ყველა ხალხს და ყველა მთავრობას შეგნებული უნდა ჰქონდეს, თუ რა დიდია ეს საფრთხე და ყოველი ღონე იხმარონ, რათა დაიცვან მშვიდობა, კვლავ შემოაბრუნონ მოვლენათა განვითარება დაძაბულობის შენელებისაკენ.

ჩვენი მხრივ, ამისთვის ყოველ ღონეს ვხმარობთ. და აქ — მინდა ეს ხაზგასმით აღვნიშნო — ჩვენ და გერმანელ ამხანაგებს სავსებით ერთნაირი შეხედულებები და ზრახვები გვაქვს.

მინდა შემოგთავაზოთ ამხანაგ ჰონეკერის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრების სადღეგრძელო.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის საქმის ახალ წარმატებებს!

გაუმარჯოს მშვიდობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში!

* * *

სიტყვა წარმოთქვა
ე. ჰონეკერმა

დედაქალაქი ჩვენი საერთო სახლია

აღმშენებლობა და მშვიდობა — ეს სიტყვები საუკეთესოდ გამოხატავენ იმ ადამიანების საქმიანობის არსს, ცხოვრების აზრს, რომლებიც მოსკოვის საპრეზიდიუმის ბიუროს წარმოადგენდნენ 117 ქვეყნის პროფკავშირებს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, სხვა საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებს. დედაქალაქის შრომელებთან ერთად მათ მონაწილეობა მიიღეს შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილ მიტინგში.

შეკრებილთ მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი.

მიტინგზე გამოვიდნენ: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი ი. ნემოუდრი, მოსკოვის პირველი საათის ქარხნის მხეზავი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ჰ. ევსტიგნეევი, არაბთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე ს. ბადრუ, აფრიკის პროფკავშირული ერთიანობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური თანაშემწე ე. კ. აფრანნ, ვენესუელის შრომელთა ერთიანი ცენტრის საპატიო თავმჯდომარე, ლათინური ამერიკის შრომელთა პროფკავშირული ერთიანობის მუდმივი კონგრესის წარმომადგენელი ა. ვილიეგას კრუსი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ ექიმთა“ საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. პ. ბოჩკოვი, პროფკავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. პეტროვი, საფრანგეთის შრომელთა საყოველთაო კონფედერაციის აღმასრულებელი კომისიის წევრი ჟ. ბიარი, ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მსაწყალებლთა კავშირის თავმჯდომარე ა. სპანჩევი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შესწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ა. ვ. ბუწნიკაშვილის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: გ. ჯიბლაძე (თავმჯდომარე), ა. ძიძიგური, ე. ჯაფარიძე, ბ. ბალავაძე, ნ. ყვანია, გ. ტატიშვილი.

ა. ვ. ბუწნიკაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ამერიკელი ექიმების ინიციატივა

საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის ევროპაში არ იქონიოს არცერთი რაკეტი, არც ერთი თვითმფრინავით მეტი, ვიდრე დღეს აქვთ ნატოს ქვეყნებს. გვეუბნებიან, მაშინ საბჭოთა კავშირს რაკეტებზე მეტი ბირთვული მუხტი ექნებაო. კარგი, მზად ვართ მოვილაპარაკოთ ევროპაში ბირთვული პოტენციალების თანაფარდობაზე როგორც მატარებლების, ისე საბრძოლო მუხტების მიხედვით, რა თქმა უნდა, ინგლისისა და საფრანგეთის შესაბამისი იარაღის გათვალისწინებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ იმის მომზრენი ვართ, რომ სსრ კავშირს ჰქონდეს ზუსტად იმდენივე რაკეტაც და მათი საბრძოლო მუხტიც, რამდენიც — ნატოს მხარეს თითოეულ, დათქმულ პერიოდში, ინგლისის და საფრანგეთის რაკეტებზე საბრძოლო მუხტების რაოდენობის შემცირებისას ამდენითვე შემცირდეს საბრძოლო მუხტების რიცხვი ჩვენი საშუალო სიშორის რაკეტებზეც. ასეთივე მიდგომა გავრცელდება ევროპაში განლაგებულ ამ კლასის საავიაციო საშუალებებზეც. ამით შევინარჩუნებთ ფლის დაანლოებითს თანაფარდობას სსრ კავშირსა და ნატოს შორის როგორც საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის მატარებლების, ანუ რაკეტებისა და თვითმფრინავების, ისე მათი საბრძოლო მუხტების რიცხვის მიხედვით, ამასთან ეს თანაფარობა გაცილებით უფრო დაბალ დონეზე იქნება, ვიდრე ახლა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო: ამ ახალი წინადადების რეალიზაციას მოჰყვება ის, რომ საბ-

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ანდროპოვ!
ძვირფასო ამხანაგო ტიხონოვ!
ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო
და მეგობრებო!

ნება მიბოძეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის სახელით მთელი სულითა და გულით გადაგიხადოთ მადლობა საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის და ძმური მასპინძლობისათვის. ამავე დროს მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო ანდროპოვ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და ჩვენი ხალხის მისამართით ნათქვამი მეგობრული სიტყვებისათვის. ეს ვიზიტი და დღეს დაწყებული მოლაპარაკება, როგორც მტკიცედ გვწამს, ახალი ნიშანსვეტი გახდება ჩვენი ურღვევი კავშირის, ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებაში.

ამ დღეებში 38 წელი სრულდება იმ დღიდან, რაც სსრ კავშირმა და მისმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა მსოფლიოისტორიული გამარჯვება მოიპოვეს ჰიტლერულ ფაშიზზე დიდ სამამულო ომში. ამ გამარჯვებამ ხალხებს თავისუფლება მოუტანა. მან გადაარჩინა ისინი ბარბაროსობის ჭაობში დაღუპვისაგან. ამით დასაბამი მიეცა უდიდეს ისტორიულ გარდაქმნებს, რომლებმაც ჩვენს ხალხსაც მისცა საშუალება დასდგომოდა ნათელი მომავლის გზას და აეშენებინა სოციალიზმი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის ყველა პროგრესული ადამიანი, მუდამ უღრმესი პატივისცემის გრძნობით გაიხსენებენ საბჭოთა კავშირის 20 მილიონ შვილს, რომლებმაც ამას შესწირეს სიცოცხლე.

ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი რეგიონალიური მონაპოვარია ის, რომ ლენინის ქვეყანასთან მეგობრობა გახდა მისი ცხოვრების საძირკველი და ყველა შრომელის საერთო მონაპოვარი. ამისათვის გასწიეს უდიდესი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ. სსრ კავშირთან ძმურ ურთიერთობაზე დაყრდნობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — გერმანიის მიწა-წყალზე შექმნილი მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო წარმატებით ვითარდება აი, უკვე სამ ათწლეულზე მეტი ხანია. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც სოციალისტური ევროპაში კავკასიისა და საქართველოს შესახებ განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ინფორმაცია XVIII საუკუნიდან. საქართველოს გეოგრაფიას ევროპაში გაეცნენ ქართული კარტოგრაფიული მასალებითა და ოქმებით. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1723 წელს გამოიცა პარიზში „კავკასიის რუკა“, ხოლო 1766 წელს — ვახუშტი ბატონიშვილის ატლასის პირველი რუკა. ეს რუკები უნდა იყოს უთუოდ მარქსისა და ენგელსის მიერ საქართველოს და კავკასიის შესახებ მოყვანილ გეოგრაფიულ ცნობათა წყაროო. სხვათა შორის, ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ მარქსი, როდესაც ასახელებს ქალაქ „ალექსანდროპოლს“, ფრჩხილებში სწორად განმარტავს „ქართულად გიუმრი ჰქვიაო“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 10. გვ. 21).

საქართველოს ისტორიასა და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე კ. მარქსი და ფ. ენგელსი საინტერესო ცნობებს იღებდნენ იმ ქართველოლოგიური შრომებიდან, რომლებიც ქვეყნდებოდა ევროპაში ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან მოყოლებული და რომელნიც ეკუთვნოდა ევროპელი ელჩების, ვაჭრებისა და მოგზაურების კალამს.

საქართველოს საკითხსა დიდი აქტუალურობა შეიძინა განსაკუთრებით 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის წყალობით. იგი ამიერიდან აქტიურ პოლიტიკურ საკითხად იქცა ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოსავლეთის (ყირიმის) ომის მსვლელობის ანალიზთან დაკავშირებით ნათლად წარმოაჩინეს საქართველოს პანხედრო-სტატეგიული მნიშვნელობა საერთოდ, კერძოდ კი, მიმდინარე ომში.

კ. მარქსი დეტალურად იცნობდა საქართველოსა და კავკასიის ფიზიკურ გეოგრაფიას და საქმის დიდი ცოდნით შეეძლო განესაზღვრა თითოეული გეოგრაფიული პუნქტის სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა. მარქსი სწორად აღნიშნავდა, რომ კავკასიის ქედის სამხრეთით მდებარე საქართველოს პროვინციებს სამხრეთ რუსეთისაგან ყოფს კავკასიონის ქედი. მათი ერთადერთი დამაკავშირებელია საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც „მოზდოკიდან თბილისისკენ დარიალის ვიწრო ხეობით მიიკლაკნება“ და მიუხედავად იმისა, რომ გამაგრებულია რუსეთის „ციხესიმაგრეთა განუწყვეტელი ჯაჭვით“, მაინც ესხმიან თავს „მტრულად განწყობილი კავკასიელი ტომები“. ამასთან მარქსი შენიშნავს, რომ ეს კავკასიელი ტომები ერთი „სამხედრო ბელადის ხელმძღვანელობით რომ გაერთიანდნენ, მაშინ საფრთხეს შეუქმნიდნენ არა მარტო რუსეთს საქართველოს დამაკავშირებელ გზას, არამედ მეზობელ ყაზახთა ოლქებსაცო“ (იქვე, ტ. 9.გვ. 408-409).

მარქსი და ენგელსი დიდ ყურადღებას აქცევდნენ თბილისისა და არზრუმის შემაერთებელი გზების დახასიათებას; მიუთითებდნენ, რომ „ახალციხის გზით თურქეთის არმიას შეუძლია პირდაპირ კავკასიის მღელვარე ოლქებში შესვლა“.

ინგლისის მთავრობა დაუცხრომლად მოისწრაფოდა, რათა გადაწყვეტი დარტყმა რუსეთის წინააღმდეგ სწორედ ამ „მგრძნობიარე პუნქტში“ — საქართველოში მოეწყო და „ჩამოეგლეჯა რუსეთისაგან ოთხი მჭიდროდ დასახლებული პროვინცია: იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი“. ჰალმერსტონი საღესანტო ჯარების გადასხმას მოითხოვდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე და არა ყირიმის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ინგლისელთა ასეთ გეგმებს სრულებით არ იზიარებდა საფრანგეთის მთავრობა. ამიტომ მოკავშირეებმა ფრანგების მოთხოვნით ჯარები პირველ რიგში გადასხეს ყირიმის ნახევარკუნძულზე. ამ გეგმას მარქსმა „უაღრესად კურიოზული“ უწოდა (იქვე ტ. 29. გვ. 27).

ამრიგად, კ. მარქსს მეფის რუსეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყებისა და განვითარების საუკეთესო პუნქტად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროები მიაჩნდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ცარიზმის „მფარველობითი პოლიტიკის“ საკითხს არაერთგზის შეეხო მარქსი თავის შრომებში, რომლებიც აღმოსავლეთის ომთან დაკავშირებით ქვეყნდებოდა ევროპის დემოკრატიულ პრესაში.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის განხილვისას კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „მოდიოდნენ პრინციპიდან, რომელიც მოითხოვს ისტორიულ მოვლენათა განხილვას რევოლუციური კლასის, კერძოდ, ევროპის რევოლუციისა და დემოკრატიის პოზიციიდან. ამიტომ კ. მარქსს საქართველოს საკითხთან დაკავშირებით ნათელად წარმოაჩინეს საქართველოს პანხედრო-სტატეგიული მნიშვნელობა საერთოდ, კერძოდ კი, მიმდინარე ომში.

მარქსიზმი და თანამედროვეობა

თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქის დაჩქარების აქტუალური პრობლემები განიხილეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდოლოგიური სემინარების საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური სახლის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდოლოგიური სემინარების საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ს. ფრანგიშვილი. მათ აღნიშნეს, რომ „კ. მარქსის შემოქმედების მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის შეუნელებელი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარების აქტუალურ პრობლემებზე ილაპარაკეს თავიანთ მოხსენებებში ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა ვ. ვ. კაშელავამ და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ნ. ოკელიემ.

სხდომაზე აღინიშნა მეთოდოლოგიური სემინარების გაზრდილი როლი, მათი ქმედითობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მემკვიდრეობის გაღრმავებულ შესწავლაში. ხაზგასმით ითქვა, რომ მათ შემდგომში უფრო ეფექტიანად უნდა შეუწყონ ხელი ინტელიგენციის — სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომელთა სოციალური აქტიურობის ზრდას.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ლ. გუნია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ლ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. მ. აფაქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგე დ. ა. კიკნაძე და სხვები. მათ ილაპარაკეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დაჩქარების, ამ საქმეში გამოყენებულ კაპიტალდაბანდებათა უკუგებების ამაღლების, წარმოებაში მეცნიერთა ნამუშევრების დროული დანერგვის კონკრეტული გზებისა და შესაძლებლობების შესახებ.

* * *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლისთავს.

მოხსენება „კარლ მარქსი და ეროვნულ-კოლონიური საკითხი“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რ. გრძელიძემ.

„კარლ მარქსი საზოგადოების კულტურული პროგრესის შესახებ“ — ასეთი იყო თემა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ზ. ბაბუნაშვილის გამოსვლისა. მოხსენება „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკაში“ კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. შველიძემ.

* * *

კარლ მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის მოძღვრების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ თავის გამოსვლაში ილაპარაკა უნივერსიტეტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მ. ოკუჯავამ.

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგემ, პროფესორმა ბ. ი. ლუტიძემ, პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ, პროფესორმა გ. ი. ჯანუყვაძემ, მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორმა რ. კ. გრძელიძემ, პროფესორებმა მ. ი. ჭელიძემ, და ნ. ი. კირვალიძემ, დოცენტმა ვ. ვ. გოგუაძემ. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ზ. ჭავჭავაძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფილოსოფიის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძე** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 4 მაისი.

დიდი ინტერესით სწავლობდნენ

საქართველოს ისტორიის საკითხები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებში

გასული საუკუნის შუა ხანებში უკიდურესად გამწვავდა აღმოსავლეთის საკითხი. მეფის რუსეთი, ერთმორწმუნე ქრისტიან ხალხთა დაცვის საბაბით, თურქეთის დანაწილებისათვის ემზადებოდა, თურქეთი — ბალკანეთსა და კავკასიაში დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის.

ამ კონფლიქტს დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ისინი დიდი ინტერესითა და მონდომებით სწავლობდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიას, კლასობრივ და ეროვნულ - ურთიერთობას, თანაც საფუძვლიანად ეცნობოდნენ საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიას, მის პოლიტიკურ მდგომარეობას.

კ. მარქსი „უდიდეს ინტერესს იჩენდა რუსეთის საქმეებისადმი. ამ საქმეებში უკეთ გასარკვევად მარქსი რუსულ ენას სწავლობდა. ცარიზმის ეს შეურიგებელი მოწინააღმდეგე წინასწარმეტყველურად აფასებდა რუსეთში დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობის პერსპექტივას. მან დაინახა, რომ ამ მოძრაობაში მწიფდება „უგრანდიოზულესი სოციალური რევოლუცია“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 32, გვ. 549), რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ექნება“ (ი. ვ. ანდროპოვი).

ევროპის საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იჩენდა საქართველოსადმი ცხოველ მეცნიერულ და პოლიტიკურ ინტერესს, რაც ხელს უწყობდა ევროპაში მდიდარი ქართველოლოგიური ლიტერატურის შექმნას.

ევროპაში კავკასიისა და საქართველოს შესახებ განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ინფორმაცია XVIII საუკუნიდან. საქართველოს გეოგრაფიას ევროპაში გაეცნენ ქართული კარტოგრაფიული მასალებითა და ოქმებით. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1723 წელს გამოიცა პარიზში „კავკასიის რუკა“, ხოლო 1766 წელს — ვახუშტი ბატონიშვილის ატლასის პირველი რუკა. ეს რუკები უნდა იყოს უთუოდ მარქსისა და ენგელსის მიერ საქართველოს და კავკასიის შესახებ მოყვანილ გეოგრაფიულ ცნობათა წყაროო. სხვათა შორის, ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ მარქსი, როდესაც ასახელებს ქალაქ „ალექსანდროპოლს“, ფრჩხილებში სწორად განმარტავს „ქართულად გიუმრი ჰქვიაო“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 10. გვ. 21).

საქართველოს ისტორიასა და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე კ. მარქსი და ფ. ენგელსი საინტერესო ცნობებს იღებდნენ იმ ქართველოლოგიური შრომებიდან, რომლებიც ქვეყნდებოდა ევროპაში ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან მოყოლებული და რომელნიც ეკუთვნოდა ევროპელი ელჩების, ვაჭრებისა და მოგზაურების კალამს.

საქართველოს საკითხსა დიდი აქტუალურობა შეიძინა განსაკუთრებით 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის წყალობით. იგი ამიერიდან აქტიურ პოლიტიკურ საკითხად იქცა ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოსავლეთის (ყირიმის) ომის მსვლელობის ანალიზთან დაკავშირებით ნათლად წარმოაჩინეს საქართველოს პანხედრო-სტატეგიული მნიშვნელობა საერთოდ, კერძოდ კი, მიმდინარე ომში.

კ. მარქსი დეტალურად იცნობდა საქართველოსა და კავკასიის ფიზიკურ გეოგრაფიას და საქმის დიდი ცოდნით შეეძლო განესაზღვრა თითოეული გეოგრაფი

5 მაისი გეჭდვითი სიტყვის დღეა

მთავარი თემა

ეს უკანასკნელი თვეებია „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე სისტემატურად ჩნდება რუბრიკა „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის“. შეიძლება ითქვას, რომ ახლა ეს თემა ჩვენი რესპუბლიკის პრესის ერთ-ერთი წამყვანი მთავარი თემა გახდა.

ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ტრაქტატს — რუსი და ქართველი ხალხების დამოყვრების პირველ მანიფესტს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა აჭარისათვის. ამასთან დაკავშირებით გამოვყოფთ ორს ძირითად მიმართულებას, ძირითად ასპექტს: რუსეთმა დაუბრუნა აჭარა დედა-საქართველოს; რუსმა ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი მარქსისტულ მოძრაობას ჩვენს კუთხეში; საბჭოთა რუსეთის დამმარებით აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და, ბოლოს, საბჭოთა რუსეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხელშეწყობით მიაღწია საქართველომ და, კერძოდ, აჭარამ დღევანდელ ეკონომიკურ და კულტურულ დონეს.

სტატიაში „რუსეთი — აჭარის განმათავისუფლებელი“ მკითხველს ვუამბეთ, თუ რა მხედრული მამაცობა გამოიჩინეს რუსმა ჯარისაკაცებმა აჭარის განთავისუფლებისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლებში, ხოლო სტატიების ციკლით „ძმობის ფესვები“ მას გავაცანით რუს-ქართველთა ურთიერთობის ისტორიული გზა, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერით დამთავრდა.

აჭარის მშრომელები საგანგებო პატივს მიაგებენ ჩვენი კუთხის განთავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას, სოფელ ხუცუბანში თვალსაჩინო ადგილს არის რუს ჯარისკაცთა და ოფიცერთა საძმო საფლავები, იუბილესათვის მზადების დღეებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მათი კეთილმოწყობისათვის. გადაწყდა აქვე მოეწყოს დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი-სტენდი, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს დროთა კავშირს, რუს-ქართველთა მარადიულ მეგობრობას, 23 აპრილს საძმო საფლავებთან განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. სოფლის მშრომელებმა პატივი სცეს განმათავისუფლებელთა ხსოვნას.

წარსულთან ერთად ფართოდ აესახავთ ჩვენს დღევანდელობას. ბოლო დროს სულ უფრო ფართოვდება აჭარისა და ქ. გეორგიევსკის შრომითი კოლექტივების მეგობრობა. ამის შესახებ ესაუბრნენ „საბჭოთა აჭარის“ მკითხველებს ურეხის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი შ. ვარშანიძე, ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პარტბიუროს მდივანი კ. ცომაია და სხვები.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ, ვცდილობთ იუბილესთვის მთელი მზადება გამოვაყენოთ ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად, ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის. აქაც ვითვალისწინებთ შეჯიბრების ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითს ასპექტს. მთელი მორიგი „სოციალისტური შეჯიბრების ფურცელი“ მიგვეძღვნით აჭარის, აგრეთვე მომმე რესპუბლიკების შრომითი კოლექტივების შეჯიბრებას, წარმოვაჩინეთ ის სიკეთე, რომელიც შეჯიბრებული კოლექტივებისათვის მოაქვს შრომითს პაექრობას. ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნისა და ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის პარტკომის მდივნებმა ვ. გუდენკომ და რ. წულუკიძემ, სხვა ავტორებმა თავიანთ სტატიებში ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ შეჯიბრება არა მარტო უზრუნველყოფს ახალ საწარმოო წარმატებებს, არამედ ამასთან ერთად აახლოებს სხვადასხვა ერის ადამიანებს, ხელს უწყობს მათი მეგობრობის განმტკიცებას. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მკითხველებს გავაცანით, თუ როგორ ემზადებიან დიდი იუბილესათვის იმ ქალაქის შრომელები, სადაც ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს დამოყვრების ტრაქტატს. ანშლაგით „გეორგიევსკი ემზადება იუბილესათვის“ მთელი გვერდი დავუთმეთ მასალებს, რომლებიც ჩვენი თხოვნით მოამზადეს გეორგიევსკელმა ჟურნალისტებმა.

დიდი იუბილესათვის მთელ მზადებას მჭიდროდ ვუკავშირებთ შრომელთა, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას, მის შემდგომ გაიქტიურებასა და სრულყოფას, ამ თემაზე უკვე გამოვაქვეყნეთ რამდენიმე საინტერესო სტატია, მათ შორის საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ნ. გუგუნავას ვრცელი სტატია „ინტერნაციონალური აღზრდა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა“, ნ. ახალაძისა და ი. ბიბილეიშვილის წერილები მოსწავლეთა და სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის თაობაზე და ა. შ. ცალკე ასპექტად გამოვყოფთ აგრეთვე ეროვნულ-ინტერნაციონალურ ურთიერთობას თვით აჭარაში, როგორც ხალხთა მეგობრობის მაგალითს. საამისოდ ჩვენი სინამდვილე მდიდარ მასალას გვაძლევს.

უახლოეს დღეებში გვერდებს გავცვლით „აფსნი ყაფშისთან“, თუ როგორ ემზადებიან იუბილეისათვის შეჯიბრებული ქალაქები — ბათუმი და სოხუმი, ხოლო იუბილეს წინა დღეებში გამოვუშვებთ გაერთიანებულ ნომერს „აფსნი ყაფშისთან“ და „სოვეტონ ირისთონთან“ ერთად, სადაც, წარმოვაჩენთ საქართველოს სს რესპუბლიკის სამივე ავტონომიური ფორმირების მშრომელთა მიღწევებს.

შ. ჟურიძე.
გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი.

სურათზე: ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ხაგაზეთო კორპუსის მემონტაჟეთა ბრიგადის ცვლის უფროსი რ. ჭელიძე და მემონტაჟე მ. ჯიჯილავა გაზეთ „პრავდის“ ახალი ნომრის ბეჭდვის ხარისხს ამოწმებენ.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ПРЕМИЕБИ ЖУРНАЛИСТЕБЗ

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მიანიჭა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიები 1982 წლის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისათვის.

ტ. ა. ბაბაიანს — ბერეზნიკის საწარმოო გაერთიანება „ურალკალიუმის“ (პერმის ოლქი) მრავალტირაჟიანი გაზეთის „ურალსკი კალიიმჩიკის“ რედაქტორს — ურალელი მუშებისა და ლატვიელი ნავსადგურის მუშაკების თანამშრომლობისადმი მიძღვნილი კორესპონდენციებისათვის „პარტნიორობა უნდა განტკიცდეს“, „მოთხოვნილებანი და შესაძლებლობანი“, „წერტილის დასმა აღრეა“; **ი. ბ. ბორიანს** — ჟურნალ „კოკოდილის“ სპეციალურ კორესპონდენტს — ფელეტონებისათვის „მოსამართი გუგული“, „ქეთილი ჯადოქრის გარდაქმნა“, „როგორ დავკარგოთ მილიონი“, რომლებშიც გამათრახებულია უყაირათობა, წამატებანი, თვალის ახვევა; **მ. ი. დერიმოვს** — რესპუბლიკური გაზეთის „პრავდა უკრაინის“ განყოფილების გამგეს — პუბლიცისტური გამოსვლებისათვის „ცრუ წინასწარმეტყველნი“ და „ცრუ წინასწარმეტყველთა განკიცხვა“; **თ. ე. ია-ზენკოს** — რეზნინს რაიონული გაზეთის „დნესტროვსკი მაიაკის“ (მოლდავეთის სსრ) რედაქტორს — პუბლიკაციებისათვის მშრომელი ადამიანებისა და ომის ვეტერანების შესახებ; **ი. ი. კალეშჩუკს** — ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ განყოფილების გამგეს, **ლ. ბ. რეინს** — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს — პუბლიკაციებისათვის მშრომელი ადამიანების შესახებ; **გ. პ. კაშუბას** — გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ განყოფილების რედაქტორს — სირიიდან და ლიბანიდან გამოგზავნილი მასალებისათვის „ბეიკას ველზე“, „დამასკელი მარეხიეგი“, „სპეციერო მეგრძოლები ფზიზლად არიან“, „ქედუხრელნი“, **ნ. ი. ლუსიანოვს** — მზატვარს, გამომცემლობა „ულაკატის“ რედაქციის გამგეს — რევოლუციური ავდანეთის შესახებ პლაკატების სერიისათვის, **ლ. ე. იაკუტინს** — ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის“ განყოფილების რედაქტორს — ფოტორეპორტაჟისათვის საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა ცხოვრებისა და საბრძოლო წვრთნის შესახებ; **კ. ვ. კოკეშნიკოვას** — „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველს — სასოფლო-სამეურნეო თემებისადმი მიძღვნილი საპრობლემო სტატიებისა და ნარკვევებისათვის „გადაბრუნებული პირამიდა“, „დოვლათის დაკარგვა სიკეთეს არ მოგიტანს“, „სად დაქრა აგრონომი“, „კარპატული სელი“; **ნ. ხ. კონსტანტინოვს** — საკდესის ლენინგრადის განყოფილების პასუხისმგებელ გამომშვებს — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი აქტუალური რეპორტაჟებისათვის; **კ. დ. ლუბჩენოს** — ესტონეთის რადიოს რედაქტორს, **ა. დ. ხლონოვოვას**—საკავშირო რადიოს სპეციალურ კორესპონდენტს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ციკლისა და „ვეჩერნაია ტბილისის“ რედაქციის განყოფილების გამგეს, **ნოდიას** გიორგი ბენტორის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ უფროს კორესპონდენტს, **სტეფანეს** ოთარ გრიმიტონის ძეს — ბორჯომის რაიონული გაზეთის „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილეს — სოფლის მშრომელების შესახებ სტატიების ციკლისათვის; **ბ. ნ. ნოვგოროდოვს** — საოლქო გაზეთ „ვოსტოჩნო-სიბირსკაია პრავდის“ (ირკუტსკის ოლქი) პასუხისმგებელი მდივნის მოადგილეს, **ვ. ვ. უსოვს** —საოლქო გაზეთ „რაბოჩი პუტის“ (სმოლენსკის ოლქი) რედაქტორის მოადგილეს — ნარკვევებისათვის თანამედროვე სოფლის ცხოვრების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ; **ს. ნ. პახტუსოვს**— გაზეთ „სპრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს — პარტიულ თემებზე. პუბლიცისტური გამოსვლებისათვის „პაემანი“, „ვამაკეთილო თქვენთან, ამხანაგებო“, „პროექტი“, **ტ. ა. რიაბიკინას** — ჟურნალ „რაბოტნიცას“ კომუნისტური აღზრდის განყოფილების გამგეს — ოჯახის განმტკიცების პრობლემებზე ნარკვევებისა და სტატიებისათვის „აკრიფეთ 04“, „შვილებთან გაყრილი“, „რთი არის მტკიცე ოჯახი“; **ხ. დ. ხაიდალიევს** — რესპუბლიკური გაზეთის „კიშლოკ ჰაქჰანთის“ (უზბეკეთის სსრ) რედაქციის განყოფილების გამგეს — დასავლეთ ციმბირის ახალმშენებლობებზე უზბეკი მუშების შრომის შესახებ ნარკვევების სერიისათვის; **ს. ვ. სერგეევს**— გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ ინფორმაციის განყოფილების რედაქტორს, **ვ. ს. კრუშინსკის**— სპეციალურ კორესპონდენტს — ეკონომიკური ცხოვრებისა და ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისადმი მიძღვნილი ანგარიშებისათვის; **ტ. ნ. ტეხს** — გაზეთ „ინფორმაციის“ სპეციალურ კორესპონდენტს — ნარკვევებისათვის „დედის პორტრეტი“, „ნახატი ქვის იატაკზე“; **ე. ს. ურიფკიანს** — კირსანოვის რაიონული გაზეთის „ლენინეცის“ (ტამბოვის ოლქი) განყოფილების გამგეს — მასალებისათვის რუბრიკით „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის გამო“: „ერთი ეზოს ადამიანები“, „ხელის ჩამორთმევა“, „ძმობა“, „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ შეაჯამა 1982 წელს პრესაში, ტელევიზიოთა და რადიოთა სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესოდ გაშუქების საკავშირო კონკურსის შედეგები.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ფულადი პრემიებითა და სატასტიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გაზეთი „პრავდის“, რესპუბლიკური გაზეთების „პრავდა ვოსტოკას“ (უზბეკეთის სსრ), „რადიანსკა უკრაინის“, „სოვეტსკაია ბელორუსიას“, „სოვეტ ტურკმენისტანის“ და „ტურკმენსკაია ისკრას“, საკდესის (საკავშირო ინფორმაციის მთავარი რედაქციის სამრეწველო-ეკონომიკური და სოფლის რედაქციების) და მოლდავეთის სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, **ფრიდმანს** ალექსანდრე იოსების ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ განყოფილების გამგეს, **წერეთელს** ნუგზარ აკაკის ძეს — საქართველოს საავტორო უფლებათა რესპუბლიკური საგანგებო უფროსს, **ჭეიშვილს** ლეონა დიმიტრის ასულს — ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორს, **ჭიბინაძეს** რევაზ ვასილის ძეს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნების განყოფილების ქართული ჯგუფის უფროსს, **ჯაფარიძეს** პავლე პლატონის ძეს — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილეს.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“**: **ბოლშაკოვს** — გაზეთ „პრავდის“ რედაქტორის მოადგილეს საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების ხაზით — წიგნისათვის „მრავალსახოვანი უმუშევრობა“, **ი. მ. შჩედროვს**—გაზეთ „პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტს — წიგნისათვის „ავღანეთი. რევოლუციის სიუჟეტი“; **ვ. ვ. ბნეფშევს** — მწერალს, **ა. პ. პოპუტკოს** — სამხედრო გაზეთის „სტავროპოლსკაია პრავდას“ რედაქტორს — წიგნისათვის „მარუხის მყინვარის საიდუმლო. პარტიზანული საფარი. ზვავების სუნთქვა“.

• • •

შეჯამდა საბჭოთა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის დარგში წლის საუკეთესო ნაშრომისათვის საკავშირო კონკურსის შედეგები.

პრემიები მიენიჭათ **ს. მ. გურევიჩს** — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორს — წიგნისათვის „კარლ მარქსი — პუბლიცისტი“; **ვ. ა. შანდრას** — ურალსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კათედრის გამგეს— წიგნისათვის „გაზეთი, პროპაგანდა, ცხოვრება: თეორიისა და მეთოდიკის საკითხები“. (საკდესი).

კვლავ მწყობრში

„საბჭესთან“ — ასე ერქვა ლექსების კრებულს, რომელიც 1931 წელს გამოვიდა. მაშინ მისი ავტორი შალვა შენგელი ცხრამეტიოდე წლისა იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე შ. შენგელმა პატიოსნად აკეთა თავისი საქმე, წერდა იმაზე, რაც აწუხებდა და ახარებდა; მსახურობდა იქ, სადაც საჭირო იყო. დღეისათვის იგი რვა წიგნის, ასობით ნარკვევის, პუბლიცისტური წერილის, რეპორტაჟის, პამფლეტის ავტორია, აქვს ლექსებიც. სხვადასხვა დროს მან იმუშავა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, ხობის რაიონული გაზეთის „სოციალიზმის მშენებლის“ რედაქტორად, გაზეთ „სახალხო განათლების“ პასუხისმგებელ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტის გამგედ, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, ზუგდიდის მუზეუმის დირექტორად, ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგედ, სხვათა შორის, მისი წინასიტყვაობით გამოვიდა ზუგდიდის მუზეუმში დაცული ხელნაწერების საფუძველზე იონა მეუნარგიას „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“.

ცხოვრებასთან, დღევანდელობასთან მჭიდრო, ორგანული კავშირის დამადასტურებელია შ. შენგელის ბოლოდროინდელი დოკუმენტური მოთხრობა „ქარიატას ქრონიკები“, ნარკვევების წიგნები „ეხგურის ჩირაღდნები“, „როგორ იბადება ენგურის ქალაღდი“, „რეპორტაჟი კაშხალიდან“.

შ. შენგელი რესპუბლიკური პერიოდიკის ხშირი და სასურველი ავტორია, მის სახელს ბევრი იცნობს. ყველგან სიყვარულით ხვდებიან, განსაკუთრებით კი მშობლიურ ზუგდიდში, მას იქ უაღრესი კრძალვითა და პატივისცემით ექცევა ყველა — დიდი და პატარა, ინტელიგენტი, მუშა, გლეხკაცი... ხალხმა იცის კაცური კაცის დაფასება. ეს რომ ასეა, ნათლად გამოჩნდა ზუგდიდის რაიონული გაზეთის „მებრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში, შ. შენგელის დაბადების 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს რომ მიეძღვნა. გაზეთის ფურცლებზე მკაფიოდ გამოიხატა მადლიერების ის დიდი გრძნობა, რომლითაც განმსჭვალულია ამაგდარი ადამიანისადმი ჩვენი საზოგადოებრიობა.

შალვა შენგელის კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, სახალხო საქმისათვის თავდადება და ქმედითი მოღვაწეობა სწორედ რომ სამაგალითო და დასაფასებელია. დაე, კვლავაც ემხნევოს და ემოღვაწოს, კვლავაც ეკეთებინოს კეთილი საქმე.

ჯ. თითმერია.

ФУРЦЛЕБИ ქАРТУЛი ПРЕСის ИСТОРИИДАН

ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲨᲣᲥᲘ

რევოლუციონერი მწერალი და ჟურნალისტი ანდრო დოლიძე

ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უახლესი ისტორიული წარსულიდან მდუმარებით შემოგვაქერიან თავდადებულ მებრძოლ ადამიანთა ხსოვნის შუქნათელი სახეები. ჩვენი საუკუნის 900-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ ხალხის წიაღიდან გამოსული ხალხოსანი საზოგადო მოღვაწეები, პროფესიონალი რევოლუციონერები, მწერლები, მუშა პოეტები, რომლებიც მხატვრული სიტყვითა და საქმით უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში.

ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის სახელოვან გალერეაში ერთ-ერთ ნათელ შუქად გამოკრთის ცნობილი რევოლუციონერი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ჟურნალისტი ანდრო დოლიძე. ანდრო ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლებიდან იყო. ღარიბი გლეხის ოჯახში გაატარა ბავშვობა, ქართული წერა-კითხვა ბასილეთის ორკლასიან სკოლაში ისწავლა. მერე კი თბილისში სწავლის დროს გიეცნო მარქსისტულ ლიტერატურას, დაუახლოვდა „მესამე დასელებს“ და იმავე დროს გაუჯერ „კვალში“ ბეჭდავდა კორესპონდენციებს სოფლის ღარიბი გლეხობის ცხოვრებიდან.

1905 წლის ქარიშხლიან დღეებში ა. დოლიძე გურიაში დაბრუნდა და მთელი არსებით ჩაება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში. იგი იმავე წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა გურიის გლეხობაში, ჩოხატაურის რაიონში ჩამოაყალიბა წითელი რაზმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ა. დოლიძეს არ შეუნელებია აქტიური არალეგალური მუშაობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. იგი მუშაობდა ბაქოში, თბილისში, ცარიცინში, სარატოვში, ასტრახანში, სოხუმში, გაგრაში, ტუფფსეში. ამასთან ერთად იგი ეწეოდა ნაყოფიერ ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

1906 წელს ა. დოლიძე თანამშრომლობდა ბაქოში, ბოლშევიკურ გაზეთ „გუდოკში“, 1911 წელს ჟურნალ „სალამურში“. 1913 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ბაქოში ქართული ჟურნალის „ჩვენი წყაროს“ დაარსებასა და გამოცემაში; 1918 წელს იგი იყო სოხუმში ბოლშევიკურ გაზეთ „სოხუმსკაია პრავდას“ რედაქციის წევრი; 1917-1918 წლებში თანამშრომლობდა გაზეთ „ბრძოლაში“, 1920 წელს — გაზეთ „ახალ კომუნისტში“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლი ანდრო დოლიძე 1921 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ან ასეთია მისი ბიოგრაფიული ცნობები.

ახლა ჩვენ გვინდა მკითხველს წარვუდგინოთ ანდრო დოლიძე, როგორც პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ქართულ პრესაში სხვადასხვა დროს „ანათემას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოებები ეკუთვნის რევოლუციური მოძრაობის უანგარო მოღვაწეს ანდრო დოლიძეს. ამ ფსევდონიმით იგი, ბოლშევიკური პრესის გარდა, სხვა პროგრესულ პერიოდულ ორგანოებშიც იბეჭდებოდა, წერდა მოთხრობებს, სატირულ ლექსებს, ფელეტონებს, პოლიტიკურ-პუბლიცისტური შინაარსის წერილებსა და კორესპონდენციებს მუშათა ცხოვრებიდან.

ოქტომბრის რევოლუციამდელ ქართულ პრესაში ანდრო დოლიძის „ანათემას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული მოთხრობებიდან მკითხველს უყრადღებას იმსახურებს „საბედისწერო ჩუსტები“, (ამბავი სოფლის ცხოვრებიდან), „სიმონა მაზლაფაძე“, „ათანასე“, „აღსარება“ (ქართველი მწერლის დღიურიდან), „ზღაპრები“ (მ. გორკისა — თარგმანი); „მიზანი“, „ერთი“ (ნაამბობი), „უმანკო მსხვერპლი“, „დარიკოს დღესასწაული“ (ეტიუდი) და სხვა. მისი ეს მოთხრობები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, „მავი წარსულის“ საერთო სათაურით ცალკე წიგნად გამოიცა.

1917 წლის მაისიდან გაზეთ „ბრძოლის“ მიერ დანთებულ „ცეცხლის გუზგუზსა და ტკრციალს“ მართლაც მოჰყვა „ელვა და ჭექა-ქუხილი“, საქართველოს ყველა კუთხეში ავარდა აჯანყების ალი და კიდით კიდემდე მოედო. მენშევიკური წყობილების წინააღმდეგ ოთხიოდე წლის სამართლიანი ბრძოლის შემდეგ ქართველი ხალხი ეზიარა თავისუფლებას.

1920 წლის გაზეთ „ახალი კომუნისტის“ (№ 23) ფურცლებზე გამოქვეყნდა აგრეთვე ანდრო დოლიძის „სიცრუის ვიცე“, რომელიც წარმოადგენდა მაზეთ სატირას და მიმართული იყო მენშევიკური ხელისუფლების ბობოლა მოხელეების წინააღმდეგ.

ა. დოლიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ხასიათის ფელეტონები, მოთხრობები და წერილები თემატიკურად რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდს ეკუთვნის. იგი ერთგან თავის მოგონებაში წერდა: „ბრძოლაში“ დავბეჭდე, როგორც მახსოვს, ორი სხვადასხვა მოთხრობისებური ფელეტონი და ერთიც სტატია, რომელთა შინაარსი კერენსკის მთავრობისა და მენშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული“.

საბჭოთა საქართველო, მთელი საზოგადოებრიობა ყოველთვის პატივითა და სიყვარულით იხსენიებს მისთვის თავდადებულ სახელოვან შვილთა უკვდავ სახელებს, რომელთა შორისაც ღირსახსოვარია ანდრო დოლიძის ნათელი სახეც.

შ. გოზალიშვილი,
პროფესორი.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა“**: **აკოფოვს** გრიგოლ არტემის ძეს — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკუთარ კორესპონდენტს, **გუჩმაზოვს** ზაქარია ივანეს ძეს — გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქციის კორესპონდენტ-ორგანიზატორს, **კავაზნიხს** ნიკოლოზ მიხეილის ძეს — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარის“ რედაქციის განყოფილების გამგეს, **კახრაძეს** ვასილ დავითის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ უფროს კორესპონდენტს, **კაკალაშვილს** ლამარა ირაკლის ასულს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ლიტმუშაკს, **მოსეშვილს** იური ვლადიმერის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეს, **ნაცვალაძეს** ნინო შალვას ასულს — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციის განყოფილების გამგეს, **ნოდიას** გიორგი ბენტორის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ უფროს კორესპონდენტს, **სტეფანეს** ოთარ გრიმიტონის ძეს — ბორჯომის რაიონული გაზეთის „ბორჯომის“ რედაქტორს, **ტელცოვს** ბორის ნიკოლოზის ძეს — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორს, **ფოფხაძეს** ნუგზარ აკაკის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, **ფრიდმანს** ალექსანდრე იოსების ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ განყოფილების გამგეს, **წერეთელს** ნუგზარ აკაკის ძეს — საქართველოს საავტორო უფლებათა რესპუბლიკური საგანგებო უფროსს, **ჭეიშვილს** ლეონა დიმიტრის ასულს — ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორს, **ჭიბინაძეს** რევაზ ვასილის ძეს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნების განყოფილების ქართული ჯგუფის უფროსს, **ჯაფარიძეს** პავლე პლატონის ძეს — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილეს.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“**: **გოკაძეს** შალვა ზაქარიას ძეს — გაზეთ „თბილისის“ ფოტოკორესპონდენტს, **დავითაშვილს** იოსებ სოლომონის ძეს — საქინფორმის ფოტოკორესპონდენტს, **თარხას** ნელი ზოლოტინსკის ასულს — გამომცემლობა „ალაშარას“ დირექტორის მოადგილეს, **იორამაშვილს** თამარ ივანეს ასულს — — გაზეთ „კომუნისტის“ კორექტორს, **ჩიქოვანს** ჯუმბერ სერგის ძეს — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“**: **ალექსანდროვს** რომა გრიგოლის ასულს — ოფსეტური საამქროს მერეტუშეს, **დავთიანს** ლადიკ გაბრიელის ძეს — საამწყობო საამქროს მბეჭდავს, **თომაძეს** თენგიზ ილიას ძეს — საამკინძაო საამქროს ამკინძავს, **რამიშვილს** ვაჟა სერაპიონის ძეს — მაღალი ბეჭდვის საამქროს უფროსს, **ქვათაძეს** ვასილ ილიას ძეს — ცინკოგრაფიის საამქროს ოსტატს, **ციცეშვილს** სპირიდონ გიორგის ძეს — საამწყობო საამქროს ამწყობს.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ბიბლიოთეკის გამგეს ამბ. თამარ გიორგის ასულ **მაისურაძეს** მიენიჭა საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარისა“**.

საქართველო

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

● ინდოეთი

უხეშად ერევიან

ბრიტანეთის კანონმდებელთა პროვოკაციული აქცია

დელი. ინდოეთში აღშფოთება გამოიწვია ინგლისის პარლამენტის დეპუტატთა პროვოკაციულმა აქციამ, რომლებმაც ყალბი ბარალდება წაუყენეს ინდოეთის მთავრობას ახალის შტატში თოთ-ქოდან ჩადენილი „მასობრივი მკვლელობების“ გამო.

ინდოეთის პარლამენტის წევრებმა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისაგან ერთსულოვნად დაგმეს ბრიტანეთის კანონმდებელთა ინდოეთის საწინააღმდეგო დემარში, მიიჩნიეს იგი ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად. „რის საფუძველზე იჩემებენ ინგლისელი პარლამენტარები უფლებას განიხილონ სუვერენული სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის საკითხები? — განაცხადა დეპუტატმა ა. გ. კულკარნიმ. — ყოველივე, რაც ეხება ინდოეთის საშინაო ვითარებას, ინდოეთის სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის სფეროში შედის, და ბრიტანეთის პარლამენტი უფლებამოსილი არ არის გამოიტანოს ინდოეთის მთავრობის დამგმობი რეზოლუციები, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე იმის შესახებ, რომ მათ მიერ წაყენებული ბრალდებანი მთლიანად ყალბია. ინგლისელ დეპუტატთა მტრული აქცია ინდოეთის პარლამენტის შეურაცხყოფა და ინდოეთის სუვერენიტეტის დარღვევაა“.

დეპუტატმა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიისაგან ქ. ქ. ტივარიმ აღნიშნა, რომ ინგლისის პარლამენტი დღემდე აზროვნებს სიმპერიო კატეგორიებით, თითქოს ინდოეთი ახლაც ბრიტანეთის კოლონია იყოს და არა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. „ლონდონის პროვოკაციული დემარში, — განაცხადა მან, — ინდოეთის წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოების შეთქმულების შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია ქვეყანაში საშინაო-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია“.

თავის გამოსვლაში პარლამენტარებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ახლა მტრული პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღეს ინდოეთის წინააღმდეგ დელის დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური კურსის „დასასჯელად“.

● გზრ

ანტიფაშისტური მანიფესტაციები

ბონი. მრავალრიცხოვანი ანტიფაშისტური მანიფესტაციები გაიმართა დასავლეთ გერმანიის ათობით ქალაქში. ისინი დაუკავშირდა გერმანიაში ნაციესტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ პროფკავშირული მოძრაობის აკრძალვის 50 წლისთავს. მანიფესტაციების გამართვის ცენტრალური ადგილი გახდა მუშათა რურის ერთ-ერთი ძირითადი სამრეწველო ცენტრი ქალაქი დუისბურგი. გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანების ინიციატივით აქ მეკრიბნენ დარგობრივი პროფკავშირების, დემოკრატიული და ანტიფაშისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა პატივი მიეგოთ ნაციხტური ტერორის მსხვერპლთა ხსოვნისათვის.

კოპეინიტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-30-34, საბჭოთა მშენებლობის. — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, საგანმეორე ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრეველთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროა — 23-66; ტყიბული — 25-82.

მაჰმუდ დერვიში:

ხელახლა დავიბადე როგორც პოეტი

ტუნისი. იყო ჩვენი დროის ყველაზე მაღალი და სიმპატიური ჯილდოს ლაურეატი უდიდესი პატივით, განაცხადა ხალედის კორესპონდენტთან საუბარში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა პალესტინელმა პოეტმა და ხალოგადო მოღვაწემ მაჰმუდ დერვიშმა. მიკვირს რაიმე ვთქვა ამის შესახებ, თუმცა სიტყვა ჩემი პროფესიაა. ვგრძნობ, რომ ხელახლა დავიბადე როგორც პოეტი. შეგნებული მაქვს ახალი, კიდევ უფრო მაღალი პასუხისმგებლობა ჩემი ხალხის, მეგობრებისა და მოკავშირეების წინაშე, არაბული და მთელი მსოფლიო პოეზიის წინაშე.

ჩემთვის საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიშვნა უსათუოდ დაკავშირებულია პალესტინის არაბი ხალხის გმირობასთან. თქვა შემდეგ მ. დერვიშმა. ეს ჯილდო მიმაჩნია იმპერიალიზმისა და სიონიზმის შავბნელ ძალებთან ბრძოლაში პალესტინელთა თავდადების აღიარებად. იმის დადასტურებად, რომ ვერავინ ვერ შეძლებს გატეხოს ჩემი ხალხის სწრაფვა მშვიდობისაკენ, ჩაახშოს მისი სიმღერა.

პალესტინელი ხალხი მარტო როდია, ხაზგასმით აღნიშნა პოეტმა. მის მხარეზეა მსოფლიოს ხალხთა, და უწინარეს ყოვლისა დიადი საბჭოთის ხალხთა სოლიდარობა და ღრმა სიმპათიები, იმ ქვეყნისა, რომლის არსებობამაც კიდევ უფრო მშვენიერი გახადა ჩვენი პლანეტა.

ცნობა პოლონეთიდან

ვარშავა. პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, 8 მაისს იატაკქვეშეთი წარუმატებლად შეეცადა მოეწყო სხვადასხვა სახის ანტისახელმწიფოებრივი დემონსტრაციები. ამ მიზნით ცდილობდნენ გამოეყენებინათ მორწმუნეთა თავყრილობა ეკლესიებთან ქალაქებში ვარშავაში, კრაკოვში, ლიუბლინში. მაგალითად, ვარშავაში შეკრებილთა ერთი ნაწილი, რომელიც აგრესიულობას იჩენდა წესრიგის დაცვის ორგანოების მიმართ, გარეკეს წყალსატყორცნების მეშვეობით. ქალაქის ცენტრში სიმშვიდე აღადგინეს 22 საათზე ადგილობრივი დროით.

ანტისახელმწიფოებრივ პროვოკაციებს, რომელთა მოწყობასაც ექსტრემისტული ელემენტები შეეცადნენ, ხანმოკლე და იზოლირებული ხასიათი ჰქონდათ.

უუფლებობის სამყაროში

● კანადა

ინდიელთა მწარე ხვედრი

ოტავა. აქ გაიმართა მასობრივი მიტინგი კანადის მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა დასაცავად. 2 ათასზე მეტი ინდიელი შეიკრიბა პარლამენტის შენობასთან. მათ გამოიტანეს პლაკატები: „ჩვენ ბედს ჩვენ უნდა განვაგებდეთ!“, „დაგვიბრუნეთ ჩვენი მიწა-წყალი!“. შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას ინდიელმა ბელადმა როი ფოქსმა განაცხადა, რომ კანადელ მკვიდრთ არასოდეს უთქვამთ უარი თავიანთ უფლებებზე იმ მიწა-წყლის მიმართ, რომელზეც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ, თავიანთ კულტურაზე. ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყნის მკვიდრნი მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებიან. მათ მიმართ ხელისუფლება დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებს, რის შედეგადაც ინდიელთა ხვედრია უმუშევრობა, სილარიბე, ავადმყოფობა და თანდათანობითი გადაშენება. ბევრ რეზერვაციაში უმუშევრობის დონე 90 პროცენტს აღწევს, ხოლო აქაურ მკვიდრთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წლით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. „მოვითხოვთ, რომ დაამყაროფილონ ჩვენი მოთხოვნები და უფლებები“, — თქვა როი ფოქსმა.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი ოტავაში პარლამენტის შენობასთან.

საკლესიო ფოტო.

ამერიკა ამერიკელთა თვალით

გაქცეულ ბავშვთა ქვეყანა

ვაშინგტონის ახალგაზდელი ადმინისტრაციის ანტიხალხური მილიტარისტული პოლიტიკა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება რიგით ამერიკელთა ოჯახებს, ეკონომიკურ დაქვეითებასთან ერთად ხულ უფრო აღრმავებს სოციალურ წყლულებს.

თანამედროვე ამერიკის ამ მწვავე პრობლემას ეხება ამერიკულ ეურნალ „ნიუსუიკში“ დაბეჭდილი ლინ ლინგვეის სტატია, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.

ლუის ტ-სათვის ოჯახური ცხოვრება დიდი ხანია აუტანელი გახდა: იგი ნარკომან დედას, გულგრილ მამასა და გულქვა დედინაცვალს შორის წრიალებდა, რომელიც 15 წლის ბიჭის დახრჩობასაც კი შეეცადა. და მაინც ლუისი უნებური ლტოლვილია. სახიდან პირქუშობის ნიღაბი ჩამოეცლება ხოლმე, როცა ჰიუსტონის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში (მას უაზრო სახელწოდება აქვს — „ოჯახური კავშირები“) ზის და იმათზე ლაპარაკობს, ვინც ჯერ კიდევ უყვარს. „მე მისი მიტოვება არ მინდოდა, მაგრამ მან სახლიდან გამომაგდო და მითხრა, აქ ფეხი აღარ მოდგაო“, მორთოლვარე ხმით ამბობს თვალზე ცრემლმომდგარი ლუისი, როცა დედას იგონებს. შემდეგ ლუისი სულიერ ძალებს იკრებს და განაგრძობს: „ცხოვრების მწარე გაკვეთილი მივიღე, არავინ მეგულება, ჩემთვის რომ გაისარჯოს, მხოლოდ ჩემი თავის იმედიღა დამრჩა ცხოვრებაში“.

ნორჩ ამერიკელთა ახალი თაობა სულ უფრო მეტად გარბის სახლიდან. მაგრამ ისინი უფრო მეტად გაუბედურებული ოჯახებიდან გაქცეულებს ჰგვანან, ვიდრე თავიანთ რომანტიკულ წინამორბედებს, ჰეკლბერი ფინით დაწყებული და „ჰიპით“ დამთავრებული. უმრავლესობა, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით ოჯახიდან გაძევებულია, და არა გაქცეული. ისინი იძულებული არიან სახლი მიატოვონ იმის გამო, რომ მოკლებული არიან მშობლიურ ზრუნვას, სასტიკად ეპყრობიან და მუდამ მარტენი არიან. „ეს ბავშვები რაღაცას გაურბიან, და არა რაღაცისაკენ გარბიან“, ამბობს ბოსტონის ბავშვთა თავშესაფრის დირექტორი რასელ ფრანკი.

მათ შორის ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება ეკონომიკური ლტოლვილები, რომლებიც ვშობლებმა შინიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ მათი შენახვის თავი არა აქვთ. „პირველად ვხვდებით ადამიანებს, რომლებსაც თვითონ მოპყავთ თავიანთი შვილები“, ამბობს კერონ ფრენკი „ბავშვებისათვის ზრუნვის ლიგიდან“. ზოგიერთი ბავშვი, მარტალია, აშკარად არ გაუგდიათ სახლიდან, მაგრამ იძულებული არიან გაიქცნენ აუტანელი ოჯახური სცენების, მშობლეთა ლოთობისა და სხვა ოჯახური უკეთურობების გამო, რასაც ეკონომიკური დაქვეითება განაპირობებს. „ეკონომიკური პირობების გაუარესების შესაბამისად სულ უფრო მეტი ბავშვი აღმოჩნდება ქუჩაში“, განაცხადა ვაშინგტონელმა სოციოლოგმა რობი კალავამ.

მთავარი ადგილები, სადაც ისინი ხვდებიან, ეს არის სძარხისად ცნობილი „მინესოტის ზოლი“, რომელიც ტაიმს სკვერის მახლობლად მდებარეობს (ეს სახელი ამ ადგილს მეძავი ქერათმიანი გოგონების სიმრავლის გამო შეარქვეს) და „მიიტ რეკი“ ჰოლივუდში სანტა მონიკას ბულვარზე, სადაც მეძავი ბიჭუნები „თავს აწონებენ“ მუშტარს. კანონიერი სამუშაოსათვის ასაკის შეუფერებლობის გამო, მათი უმრავლესობა ქურდობს, ნარკოტიკებით ვაჭრობს.

ისევე როგორც უსახლკარო უფროსი ადამიანები, ისინი მიენენ მეცირეწლოვან სამართალდამრღვევეს. შემდეგ საპატიმროებში, აღმზრდელობითს სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ბავშვებისადმი უხეში მოპყრობის და სიკვდილის შემთხვევებით შეშფოთებულმა კონგრესმა მიიღო კანონი „ღარიბ და უსახლკარო ბავშვთა შესახებ“, შექმნა მოზარდთა დროებითი თავშესაფრები, რომლებსაც სახელმწიფო ფინანსებს. მაგრამ 166 უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, რომლებსაც ოპტიმისტური სახელწოდება აქვთ („მყუდრო სავანე“ და ა. შ.), შეუძლია წელიწადში მიიღოს მხოლოდ 45 ათასი ბავშვი, რაც ტოვებულ ფიცრულებში, პარკების სკამებზე ან მიწისქვეშა გასოსების მახლობლად ათეულ ღამეს, საიდანაც თბილი ჰაერი უბერავს. ზოგიერთი ნორჩი ხიზანი გულისამაჩუყებელ გამომგონებლობას ავლენს: როგორც სუტენერების და ჰომოსექსუალისტების, ისე პოლიციის შიშით ერთი ფილადელფიელი ჭაბუკი ღამღამობით ნიკაპამდე ქვიშაში ეფლობოდა ბავშვთა სათამაშო მოედანზე. მაგრამ ნორჩი ხიზნების უმრავლესობა ვერ პოულობს ადგილს, დამალვა რომ შეიძლებოდეს — 1981 წელს 50.000-მდე ოჯახიდან გაქცეული ბავშვი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ხდება დაკარგულ ბავშვთა (დაკარგული ავტომანქანებისაგან განსხვავებით) კომპიუტერებით აღრიცხვა, შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა ბედი ეწიათ მათ. მიუხედავად ამისა, მიახლოებითი გამოანგარიშებითაც კი, ყოველწლიურად მილიონზე მეტი ბავშვი გარბის სახლიდან. 1974 წლამდე მთავრობის მხრივ დახმარება ძირითადად იმით გამოიხატებოდა, რომ აპატიმრებდგაქცეულ ბავშვთა 5 პროცენტს შეადგენენ. მათ იქ შეუძლიათ დაჰყონ 2 კვირიდან ერთ თვემდე. ფედერალური ბიუჯეტის მოსალოდნელი შემცირება თავშესაფრებს კიდევ უფრო გადატვირთავს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ამასწინანდელ მოხსენებაში, რომელიც „ბავშვთა თავშესაფრების მონაცემების საფუძველზეა შედგენილი, აღნიშნულია, რომ ხიზანთა საშუალო ასაკი 15 წელია. ეს ერთი წლით ნაკლებია 1976 წლის მონაცემებთან შედარებით. ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად გვხვდება შინიდან გაქცეული ბავშვები, რომლებსაც ეს-ეს არის 9 წელი შეუსრულდათ. მათი უმრავლესობა თეთრკანიანი ბავშვები (70 პროცენტი) და გოგონები არიან (56,7 პროცენტი), თუმცა ეს განსხვავება თანდათანობით მცირდება). 40-მა პროცენტმა სკოლა მიატოვა და ამიტომ უმრავლესობა ძლივძლივობით კოთხულობს და მათ არავითარი საკუთარი ღირსებისა გრძნობა არ გააჩნიათ.

„თუ ბავშვი ქუჩაში თვეზე მეტს დაჰყოფს, მისი ხსნა უკვე ძალიან ძნელია“, ამბობს ნიუიორკის მოზარდი ხიზნების „აღთქმის სახლის“ დამაარსებელი ბრიუს რიტერი. „ექვსი თვის შემდეგ იგი თითქმის დაკარგული, ხოლო ერთი წლის შემდეგ სამუდამოდ დაკარგული“. ბევრ შემთხვევაში კი ორი დღეც საკმარისია. 48 საათის განმავლობაში ყოველი 10 მოზარდიდან ერთი ბავშვი მეძავი ხდება.

იმ ბავშვების დასახმარებლად, რომლებსაც არ სურთ ან არ შეუძლიათ შინ დაბრუნება, შტატებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას ცვლილებები შეაქვთ მოზარდთა შესახებ კანონებში. ამჟამად სულ ცოტა 12 შტატში არასრულწლოვანებს მინიჭებული აქვთ უფლება იმუშაონ და ჰქონდეთ საკუთარი ბინა. კონექტიკუტის შტატში, მაგალითად, 16 წლის მოზარდს, კანონის თანახმად, შეუძლია მშობლებს „გასცილდეს“, თუ ისინი უხეშად ეპყრობიან, და აქვს უფლება მოითხოვოს, რომ მას როგორც უფროსს, ისე მოეკცნენ.

ხელისუფალთ ისიც აშფოთებთ, რომ გადატვირთული უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები ვეღარ გაუმკლავდებიან გაქცეული ან გაძევებული ყმაწვილების მოზღვავებას. კონგრესმა მისცა თანხმობა გამოყოს 20 მილიონი დოლარი. მაგრამ მთავრობამ მიმდინარე ბიუჯეტში მხოლოდ 6,6 მილიონი გამოყო. სენატორთა ჯგუფმა მაინც მიაღწია ამ ციფრის 18 მილიონამდე გაზრდას. ეს თანხაც კი თითოეულ ხიზან ბავშვზე 18 დოლარზე ნაკლების დახარჯვის საშუალებას იძლევა.

საკმარისი თანხებიც რომ გამოიძებნოს იმისათვის, რომ ყოველ კუთხეში ოჯახური პრობლემების კონსულტანტი დასვან, ბევრი არსებითი საკითხი მაინც ვერ გადაიჭრება. ნიუ-იორკის ბავშვთა თავშესაფრის „ნოეს კიდობნის“ მედდა დოლორეს გარტანუტი ამბობს: „ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც ადამიანები ნივთებით სარგებლობენ, ხოლო შემდეგ აგდებენ მათ ისე, როგორც დაჭმუჭნილ ქაღალდის ხელსახოცს. შემძლია დავფიცო, რომ ბევრი ადამიანი ასევე ეპყრობა შვილებს“. და აი, ნიუ-იორკიდან კალიფორნიამდე დღითი დღე იზრდება გაგდებულ ბავშვთა რიცხვი, რომელთა ხვედრია ექსპლოატაცია და მხეცური მოპყრობა. იმათ, ვინც ბავშვებს ქუჩაში ერეკება, ადრე თუ გვიან უნდა შეიგნონ, რომ ბავშვი ხელთათმანი არ არის. რაც უფრო დიდხანს დარჩებიან ქუჩაში, მით უფრო ნაკლებია იმის შანსი, რომ როდესმე ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან და მით უფრო ძვირი დაგვიჯდება ისინი თითოეულ ჩვენგანს.

ინფორმაცია—83

ვეტერანთა ხეივანი

დუშეთის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით რაიონში მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის გაშენდება 40.000 ძირი კაკლის ხე. ამჟამად უკვე დარგულია 20.000 ძირი. აღნიშნული რიცხვი შემთხვევითი როდია. რაიონის მოსახლეობას უკისრია ყოველ მოსახლეზე ერთი ძირის ჩარგვა. აქ კი 40 000 მოსახლეა.

და აი, დუშეთის რაიონში მოეწყო კაკლის ნერგების მასობრივი დარგვა, აქ ამ პატრიოტული თაოსნობის ხორცშესხმისათვის თბილისიდან ჩამოვიდნენ პარტიის ვეტერანები, რომლებმაც ხანდაზმულობის მიუხედავად დიდ ეხოუზიაზმით, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით ჩარგეს 200-ზე მეტი ხუთ-ექვს წლიანი კაკლის ნერგი.

კაკლის ნერგების გაშენება მიმდინარეობდა აგროტექნიკის ყველა პირობის დაცვით. ადგილობრივი სპეციალისტების აზრით, პარტიის ვეტერანთა ხეივანი პირველ ნაყოფს ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მოისხამს.

პარტიის ვეტერანთა ხეივანი გაშენდა სოფელ ანანურის ტერიტორიაზე, ცივი წყლის მიდამოებში, თეთრი არაგვის გასწვრივ.

ამ დიდ პატრიოტულ თაოსნობაში თავი ისახელეს პარტიის ვეტერანებმა კონსტანტინე ალბოროვმა, მირიან სარჯველაძემ, გიორგი გორდულაძემ, ვლადიმერ ბუაჩიძემ, გრიგოლ ჩიქობავამ, ვიქტორ ლომიძემ, ილია ლეკვაკვამ, ვასილ კიკნაძემ.

ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და პირადად დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰამლეტ კერესელიძემ დიდად დააფასეს თბილისის პარტიის ვეტერანთა ესოდენ დიდი შრომა. მათ მიერ გაშენებულ ხეივანს „პარტიის ვეტერანთა“ ხეივანი ეწოდა.

ს. ნაციაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური ხაბჭოს საორგანიზაციო სექტორის გამგე, პარტიის ვეტერანი.

საკავშირო გამოფენა

ამ დღეებში მხატვრის სახლში გამოფენილი იყო თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრები. ეს საკავშირო გამოფენა მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს და საკავშირო პროფკავშირების XVII ყრილობას. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის თვითნასწავლ მხატვართა 27.000 ნამუშევარი. შერჩეული 2.000 საუკეთესო ნახატიდან მოეწყო გამოფენა, რომელმაც მოიარა ევროპის მთელი რიგი დემოკრატიული ქვეყნები, საბჭოთა კავშირი. თბილისი იყო მესამე ქალაქი (ალმათისა და ტაშკენტის შემდეგ), სადაც ეს გამოფენა გაიხსნა. აქ წარმოადგინეს ას ორმოცი მხატვრის ას ორმოცდაცამეტი ნამუშევარი.

გამოფენა გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ. დამსწრე საზოგადოებრიობას მიესალმნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, მხატვართა კავშირთან არსებული ხალხური შემოქმედების კომისიის თავმჯდომარე რ. შეროზია, თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი ს. გედევანიშვილი, თვითნასწავლი მხატვრები დ. სვანიძე და მ. ანდრონიკაშვილი.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით გაეცნენ ნამუშევრებს. გამოფენამ თბილისიდან კიშინიოვში გადაინაცვლა.

მ. გოგოლაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

ორი პრემიერა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელთა ქალაქის მშრომელებმა ამ დღეებში ორი პრემიერა ნახეს. აკაკი წერეთლის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“ და ინსცენირება ა. ფადეევის რომანისა „ახალგაზრდა გვარდია“.

ორივე დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ლ. ბულუხიას. სპექტაკლებში საინტერესო სცენური სახეები შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ა. დათეშვილმა, ა. ბაქრაძემ, რ. ჩაჩანიძემ, მსახიობებმა კ. ყიფიანმა, ნ. კუზმენკომ, ბ. ჭანკოტაძემ.

ო. ნიქაბაძე.

„მეცნიერება და ტექნიკა“ № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკის“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

აწმყოვან „აქტუალური პრობლემები“ დაბეჭდილია წერილები: ს. ჭელიძისა — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელობა: ზ. ჩქვანაველი — წყლის ფასი; მ. რუსტამოვის, ნ. მურადოვისა — მომავალი საუკუნეების ნახშირი.

მეგობრობის დღესასწაული

სოხუმში დაიწყო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დღეები. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ მეგობრობის დღესასწაულზე ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის ამ უდიდესი სიმუსიკო უმაღლესი სასწავლებლის 160 წარმომადგენელი.

მრავალფეროვანია მეგობრული მუსიკალური დღესასწაულის პროგრამა. მასში გათვალისწინებულია შეხვედრები, კონცერტები, ლექციები, აფხაზეთის სამუსიკო სასწავლებლების, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცნობა.

ავტოკატასტროფა. ვინ აგებს პასუხს?

გზაზე მიტოვებული სატკეპნი

ეს ავტოავარია ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელთან მოხდა. ყვარელ-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ამ მონაკვეთზე ასფალტს აგებდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს №1 საგზაო-საეკსპლოატაციო ტრესტის თელავის №9 ხიდგზის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო. საგზაო სამუშაოების დროს ელემენტალური წესია, რომ დაიდგას საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო როცა სამუშაო დღე მორჩება, ხელსაწყოებიანელები განკუთვნილ ადგილზე შეინახო და ასფალტის სატკეპნი მანქანაც, რა თქმა უნდა, შუა გზაზე არ მიაგდო. ეს მარტივი ჭეშმარიტება არაფრად ჩაუგდეს უფროსმა სამუშაოთა მწარმოებელმა ელდარ ხარებაშვილმა, ათისთავმა ვასილ ყაველაშვილმა და ასფალტის სატკეპნი მანქანის მძღოლმა ვიქტორ სუშეხკომ. იმის ნაცვლად, რომ სატკეპნი მანქანა ღამით გზის გვერდულზე ყოფილიყო გაჩერებული, შუა გზაზე დატოვეს. წესის ამ დარღვევას ტრაგედია მოყვა.

ღამის პირველ საათზე შუა გზაზე მიტოვებულ ასფალტის სატკეპნ მანქანას „ეჯეგული“ დაეჯახა, რომელსაც მართავდა შენგელი ბლუაშვილი. მძღოლი შ. ბლუაშვილი მძიმედ დაშავდა, ხოლო მისი მეუღლე იქვე გარდაიცვალა.

ბლუაშვილი ამბობს, რომ იგი შემხვედრი ავტომანქანის შუქმა დაბრმავება და ამიტომ ვერ დავინახეო შუა გზაზე გაჩერებული ასფალტის სატკეპნი მანქანა...

ამ ავტოკატასტროფის საქმეს საგამოძიებო ორგანოები იძიებენ და დამნაშავეები სათანადოდ დასჯებიან, მაგრამ პასუხს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსაგანაც მოველით.

ბ. გორელი.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის ბოლო მატჩი. „სპარტაკმა“ მიიღო „ზენიტი“. შეხვედრა დამთავრდა „სპარტაკელთა“ გამარჯვებით — 3:0.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორეცი“	7	5	1	1	12-5	11
„შახტიორი“	8	5	1	2	11-7	11
„ტორპედო“ (მ)	7	4	3	0	9-3	11
„არარატი“	8	5	0	3	9-11	10
„ზენიტი“	8	4	2	2	11-8	10
„ყალგირისი“	8	3	4	1	6-4	10
„დნეპრი“	8	3	3	2	11-8	9
„დინამო“ (მნ)	8	3	3	2	8-8	9
„სპარტაკი“	7	3	2	2	12-5	8
„ფახთაქორი“	8	2	3	3	7-8	7
„დინამო“ (მ)	7	2	2	3	5-4	6
„მეტალისტი“	7	2	2	3	8-9	6
„დინამო“ (თბ)	8	2	2	4	8-10	6
„ნეფთჩი“	8	2	2	4	6-8	6
„დინამო“ (კ)	7	2	2	3	3-5	6
ცსკა	7	1	3	3	3-6	5
„ნისტრუ“	7	1	1	5	5-17	3
„ტორპედო“ (ქ)	8	0	2	6	4-12	2

მაგიდის ჩოგბურთი. ტოკიოში გამოვლინდნენ მსოფლიო ჩემპიონები გუნდურ ასპარეზობაში. ქალთა გუნდების ფინალური მატჩი ჩინელებმა მოუგეს იაპონელებს ანგარიშით 3:0. მესამე-მეოთხე ადგილისათვის გამართულ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრებმა პოზიციები დათმო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან — 1:3. ვაჟთა გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა ჩინეთის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში შვეიცის კოლექტივი დაამარცხა — 5:1. მესამე საარიზო ადგილი დაიკავეს უნგრელებმა. მათ ამ ადგილისათვის გამართული მატჩი მოუგეს ინგლისელებს — 5:2. სსრ კავშირის ნაკრები მეთექვსმეტე ადგილზე გამოვიდა და მან მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში უძლიერესთა შორის ასპარეზობის უფლება დაკარგა.

თავისუფალი ჭიდაობა. ულან-ბატორში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ოთხმა საბჭოთა სპორტსმენმა პირველობა მოიპოვა. მათ შორის იყო ჩვენი ლენინგრადელი თანამემამულე ს. ზარანდია (100 კგ-მდე) წონითი კატეგორია). გაგრელმა ზ. წოწორიამ (48 კგ) მეორე ადგილი დაიკავა.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

ძლეული გამოცემა-შვიდოგზა ნაკრებს

დინამო ძოფმა — იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანმა გადაწყვიტა გუნდს „გამოეშვა“ დობოს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იტალიელებმა წაადგეს ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი რუმინელებთან (0:1). ძოფმა, რომელსაც ახლახან 41 წელი შეუსრულდა, იტალიის მთავარ გუნდში 111-ჯერ ითამაშა (იტალიის ფეხბურთისათვის რეკორდული მაჩვენებელი). და კიდევ ერთი რეკორდი, (ამჯერად—საერთაშორისო): მას 1143 წუთის განმავლობაში (1972-1974 წლებში) ნაკრების კარში ბურთი არ გაუშვია. ამ პერიოდში იტალიელთა მეტოქეებმა იყვნენ ინგლისის, ბრაზილიის, შვეიცის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ნაკრებს ერთი მატჩიც არ მოუგია. რუმინელებთან შეხვედრამდე იტალიელებმა სამი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

ა. ვ. ბუხნიკაშვილის დამკრძალავი კომისიისგან

პროფესორ ა. ვ. ბუხნიკაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 5, 6 მაისს განსვენებულის ბინაზე (ლენინის ქ. № 20), 8 ს., გამოსვენება — 7 მაისს 4 საათზე. ა. ვ. ბუხნიკაშვილი დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

რედაქტორი ბ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

5 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — გამოგვეხმაურეთ, მეგუეენო! 10.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცოცხალი შეიპყარით“. II სერ